საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 32 (276) ოთხშაბათი, 17 თებერვალი, 1993 წელი. ფასი 5 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 15 თებერვალს მდინარე გუმისთაზე დღის პირველ ნახევარში სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. 15.40 წუთზე მოწინააღმდეგემ სოხუმს ესროლა ორი ჭურვი, რომელთა აფეთქებას მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია.

17 საათიდან მკვეთრად გააქტიურდნენ მოწინააღმდეგის სნაიპერები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ქვემო ეშერის სკოლის შენობაში. მათი ტყვიით დაიჭრა ჩვენი ორი მებრძოლი. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა სკოლის შენობისაკენ მიმართეს საარტილერიო ცეცხლი, რომლის შედეგადაც შენობა მნიშვნელოვნად იქნა დაზიანებული, აქ მოთავსებული საცეცხლე წერტილები კი ჩახშობილი.

15 თებერვალსვე ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღის მიდამოებში შემოვიდა აფხაზთა დივერსიული ჯგუფი, რომელიც აღმოაჩინეს სწრაფი რეაგირების კორპუსის (გვარდიის შავნაბადას ბატალიონის) მებრძოლებმა. დივერსიული ჯგუფის უვნებელყოფისას ოთხი დივერსანტი ადგილზევე იქნა მოსპობილი, სამი ტყვედ აიყვანეს, რამდენიმე გაიქცა.

ქართველ მეომრებს ხელთ ჩაუვარდა ექვსი ავტომატი, ერთი ყუმბარმტყორცნი, რამდენიმე ხელყუმბარა და ტყვია-წამალი. ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ არის.

იოსებ გოზეჩია.

●

შეხვედრა სასაზღვრო საგუშაგოზე

მდინარე ფსოუს სასაზღვრო საგუშაგოზე გაიმართა აფხაზეთის საზღვრისპირა რაიონების ხელმძღვანელობისა და ადლერის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც განიხილავდნენ საკითხს, თუ როგორ მოაგვარონ ამ რაიონების მცხოვრებთა გაშვების რეჟიმი საზღვარზე, რომელიც დღემდე ადმინისტრაციულად ითვლება. შეხვედრაზე მოვიდნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ხაშბა, ქალაქ გაგრის ადმინისტრაციის მეთაური რუსლან იაზიჩბა, სოჭის ადლერის რაიონის ადმინისტრაციის მეთაური აზატ ასატუროვი.

— ასეთი შეხვედრის მიზეზი გახდა საზღვარზე გადასვლისას ის დამატებითი შეზღუდვები, რომლებიც შემოიღო ადლერის რაიონის ადმინისტრაციის მეთაურმა თავისი 12 თებერვლის განკარგულებით, ფაქტობრივად ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის უფლება აქვთ აფხაზეთის მხოლოდ იმ მცხოვრებლებს, ვინც ადლერის საწარმოებში მუშაობს.

ადლერის რაიონის ხელმძღვანელობასაც თავისი მოსაზრებანი ჰქონდა საზღვარზე გადასვლის უფრო მკაცრი რეჟიმის საჭიროების შესახებ: ავტოტრანსპორტით გზების დიდი გადატვირთვა, გასაშვებ პუნქტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესება. გარდა ამისა, დაირხა ხმები, რომ აფხაზეთში დაიწყო პარტახტიანი და მუცლის ტიფის ეპიდემია.

მხარეები შეთანხმდნენ ერთად გადასინჯონ ადმინისტრაციულ საზღვარზე გაშვების წესი ორი დღის ვადაში.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

შემუშავებული იქნება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია

16 თებერვალს საქართველოს პარლამენტის სხდომა, როგორც პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ შენიშნა, სასიამოვნო ტრადიციით დაიწყო. მისი წინადადებით პარლამენტარებმა დაბადების 70 წლისთავი მიულოცეს მხატვარსა და საზოგადო მოღვაწეს ოთარ ლითანიშვილს.

სპიკერის მოადგილემ რუსუდან ბერიძემ პარლამენტარებს წარუდგინა კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე. კერძოდ, იგი ითვალისწინებდა „ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროსათვის" შეეცვალათ სახელი და ეწოდებინათ „ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრო". გამოითქვა მესამე წინადადებაც — უწყებისათვის მხოლოდ „ვაჭრობის სამინისტრო" დაერქმიათ. ამ არცთუ ისე მნიშვნელოვანმა პრობლემამ მაინც გამოიწვია პარლამენტართა დიდი ბჭობა, თუმცა ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

სიტყვა აიღო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან მიმოიხილა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ზოგიერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპი და აღნიშნა, რომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების, დემოკრატიული აღმშენებლობის აუცილებელი პირობაა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება და მიღება. მან, კერძოდ, თქვა:

ჩვენს სამშობლოს, საქართველოს, სახელმწიფოებრიობის 2800-წლოვანი ტრადიცია აქვს. განგებამ ისე განსაჯა, რომ საქართველომ სწორედ მაშინ დაკარგა დამოუკიდებლობა, როცა მთელი სამყარო დიდ სიახლეთა წინაშე იდგა. მე-19 საუკუნის დასაწყისში ბიუროკრატიულ-დესპოტურმა ცარისტულმა რუსეთმა ერთი-მეორის მიყოლებით შეიერთა ქართული სამეფო-სამთავროები, ამ დროს კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წარმოების ახალი წესი იკაფავდა გზას, რამაც საბოლოოდ ამ ქვეყნებში ახალი ტიპის სახელმწიფო წყობის — ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩამოყალიბება განაპირობა.

უეჭველია, რომ სწორედ ჩვენი ქვეყნის ასწლოვანმა კოლონიურმა მდგომარეობამ განაპირობა საქართველოში თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო წყობის ჩამოყალიბების დაგვიანება. მაგრამ როგორც კი რუსეთის იმპერიის დანგრევამ შექმნა ასეთი შესაძლებლობა, ქართველმა ხალხმა მაშინვე ისარგებლა ამით. ჯერ 1917 წლის ნოემბერში გაიმართა ეროვნული ყრილობა, შემდეგ კი ამ ყრილობაზე არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. აქედანვე დაიწყო დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობა, რაც რალა თქმა უნდა, ამ სახელმწიფოს სამართლებრივი ბაზის შექმნას და, უპირველეს ყოვლისა, მისი კონსტიტუციის შემუშავებას გულისხმობდა.

1918 წლის შემოდგომაზე საქართველოს პარლამენტმა (ასე ეწოდა ამ დროისათვის ეროვნულ საბჭოს) ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო კომისია, რომელიც მოწვეული სპეციალისტების დახმარებითა და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით მაშინვე შეუდგა ინტენსიურ მუშაობას. დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ კომისია ხელახლა შეიქმნა, განაგრძო მუშაობა და 1920 წლის ნოემბერში საქართველოს კონსტიტუციის საკმაოდ სრულყოფილი პროექტი წარმოადგინა. დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის თებერვლის საბედისწერო დღეებამდე პროექტის 17 თავიდან მუხლობრივად მხოლოდ ერთის განხილვა მოასწრო. 21 თებერვალს, როცა თბილისი უკვე ალყაში იყო, დამფუძნებელმა კრებამ დედაქალაქში გამართულ თავის უკანასკნელ სხდომაზე საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიიღო.

ამ ფორუმის მონაწილეებმა, შესანიშნავად იცოდნენ, რომ საქართველოს ბედი იმ დროისათვის უკვე გადაწყვეტილი იყო. მათი მოქალაქეობრივი გმირობის პათოსი ქვეყნის მომავალზე იყო ორიენტირებული. მწამს, რომ დამფუძნებელი კრების მონაწილეებს სჯეროდათ: მათი ნაფიქრალ-ნააზრევი, მათი ნაშრომი მომავალ თავისუფალ საქართველოს დასჭირდებოდა. ეს დროც მოვიდა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია მაღალი დონის საკანონმდებლო აქტია. მისი ფუძემდებლური პრინციპები და აღიარებულ ნორმათა ის ნაწილი, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება, სრულიად შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო კონსტიტუციურ და საერთაშორისო-სამართლებრივ სტანდარტებს. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ, რომ დემოკრატიული საქართველოს არსებობის სამწლიანი პერიოდი ქრონოლოგიურად ცარიზმის ასწლოვან და ბოლშევიზმის სამოცდაათწლოვან ბატონობას შორის თავსდება, ანუ არსებითად რუსული კოლონიური მმართველობისა და მისი შესაბამისი კანონმდებლობის ორი სხვადასხვა ვარიანტითაა გარემოცული, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია თანამედროვე ქართული ეროვნული სამართლებრივი აზროვნების უდიდეს მიღწევას, მის ყველაზე სრულყოფილ დოკუმენტს წარმოადგენს.

ამ კონსტიტუციის მიღებით საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ეროვნულ სახელმწიფოებრიობას მტკიცე სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარა. სამწუხაროდ ქართველ ერს ამ ჯანსაღ საფუძველზე სახელმწიფოებრივი შენობის აგება აღარ დასცალდა. ჩვენს ქვეყანაში საგარეო ინტერვენციის გზით ქართველი ხალხისთვის უცხო და მიუღებელი რეჟიმი დამყარდა, მოხდა საქართველოს ანექსირება, რასაც მისი ჯერ ეგრეთ წოდებულ ამიერკავკასიის ფედერაციაში, შემდეგ კი სსრ კავშირში ძალით შეყვანა მოჰყვა.

თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ ფორმალურად არ მოსპო საქართველოს რესპუბლიკა, მაგრამ მან რევკომის დეკრეტით დათხოვნილად გამოაცხადა დამფუძნებელი კრება, რითაც დემოკრატიულ საქართველოსთან ფაქტობრივად გაწყვიტა ყოველგვარი სამართლებრივი კავშირი. შემდგომი პერიოდის კანონშემოქმედებამ ჩვენს ქვეყანაში საქართველოს 4 საბჭოური კონსტიტუცია მოგვცა (1922, 1927, 1937, და 1978 წლებისა, რომლებიც შესაბამისი [პერიოდის რუსული საბჭოთა კონსტიტუციების თარგზე იყო გამოჭრილი და ქართულ სამართლებრივ ტრადიციასთან ბევრი საერთო არ ჰქონდა. ამ კონსტიტუციებს სუვერენული სახელმწიფოს ძირითად კანონებს ვერ ვუწოდებთ. ამიტომაც იყო, რომ ისინი ვერ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.,

მიუხედავად უუფლებო მდგომარეობისა, ქართველმა ხალხმა 70 წლის მანძილზე არნახული სულიერი სიმტკიცის ფასად შეძლო ენის, კულტურის, ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ დაუოკებელი მისწრაფების შენარჩუნება, რაც 80-90-იან წლებში მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ გაშლაში აისახა.

როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ 1991-92 წლების მიჯნაზე მომხდარი მოვლენების შედეგად დღეს საქართველო კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ჩვენ აღდგენილი სახელმწიფოებრიობისათვის მყარი სამართლებრივი საფუძვლის შექმნის ამოცანის წინაშე ვდგავართ. რა თქმა უნდა, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედება, რაც შემდგომში სახელმწიფო საბჭომაც დაადასტურა, უდიდესი შიდა და საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტია, მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს აქტი მნიშვნელოვანწილად სრულიად გასაგები მიზეზების გამო ნაჩქარევად იყო მომზადებული. აუცილებელი სამართლებრივი უზრუნველყოფის უქონლობამ, კონსტიტუციის დებულებათა უკმარისობამ და, ხშირ შემთხვევაში, არსებულ სახელმწიფო სტრუქტურებთან შეუსაბამობამ ამ კონსტიტუციის აღდგენა არასრულყოფილ იურიდიულ აქტად აქცია. ამან კი, თავის მხრივ, გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია საზოგადოების სახელმწიფო-სამართლებრივ სტრუქტურებში.

საქართველოს პარლამენტის სხდომა

შექმნილ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა და ჩატარება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. 11 ოქტომბერი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში შევა, როგორც უმნიშვნელოვანესი ეტაპი. სწორედ 11 ოქტომბრის კურსმა უნდა მიგვიყვანოს იმ ახალ თვისებრიობამდე, რომელსაც დასრულებული სამართლებრივი საზოგადოება ჰქვია. პარლამენტმა მიიღო დროებითი კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, რომლის საფუძველზე აირჩია სახელმწიფოს მეთაური, შექმნა მთავრობა, სხვადასხვა სამსახურები, დანიშნა უმაღლესი თანამდებობის პირები. და, ბუნებრივია, რომ დღის წესრიგში კვლავ დადგა საქართველოს კონსტიტუციის საკითხი: ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე თვლის, რომ კონსტიტუციაზე ლაპარაკი ნაადრევია, რომ უფრო სწორია ქვეყანა გამოვიყვანოთ ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან, თავი გავართვათ კონფლიქტებს, რომლებსაც ეწირებიან ადამიანები, იხარჯება ისედაც განიავებული სახალხო დოვლათის გადარჩენილი მარაგი, ამ საქმეს კი უფრო მეტად „მაგარი ხელი", ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი დიქტატორი უფრო მოუვლის, ვიდრე კონსტიტუციური გზით არჩეული ხელისუფლება. არა და არა! საქართველო გადარჩება და გამოვა ღრმა კრიზისიდან თუ ჩვენი საზოგადოება ერთიანი იქნება უმაღლესი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლაში, თუ არ გავფლანგავთ ეროვნულ და მოქალაქეობრივ ენერგიას ვიწროდ, პრიმიტიულად გაგებული პარტიული თუ პირადი ამბიციებით ნაკარნახევი მიზნებისათვის ჭიდილში, თუ არ ჩავეფლობით პოლიტიკანობის ჭაობში, სწორედ პრიმიტიული პოლიტიკური აზროვნება და პოლიტიკანური პროვინციალიზმი ემუქრება ჩვენ საზოგადოებას ახალი გათიშვით. სწორედ, კონსტიტუციის შექმნის და მიღების პროცესი იქნება ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლისა და ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობისა.

ამ საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე გზა არსებობს. მათ შორის ყველაზე მისაღებად ორი გვესახება: სრულიად ახალი, მეექვსე კონსტიტუციის შემუშავება, ან 1921 წლის კონსტიტუციის რეალურად ამოქმედება. არის მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც სწორედ ამ უკანასკნელი ვარიანტის სასარგებლოდ მეტყველებენ.

კერძოდ, საქართველოს პირველი კონსტიტუციის რეალურად აღდგენის შედეგად გაიზრდება საქართველოს, როგორც ხანგრძლივი კონსტიტუციური ისტორიის მქონე სახელმწიფოს, საერთაშორისო ავტორიტეტი; ავტომატურად ამოქმედდება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ყველა ის ჭეშმარიტად დემოკრატიული ნორმა და პრინციპი, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა, ანუ, კონსტიტუციის ეგრეთ წოდებული „ცოცხალი" ნაწილი; ხელი შეეწყობა საზოგადოების შემდგომ კონსოლიდაციას.

ყველა ეს უპირატესობა, ან სხვა რამ მათი ტოლფასი არ გააჩნია სრულად ახალი კონსტიტუციის შემუშავების ვარიანტს. ეს უფრო აშკარად ჩანს საქართველოს პირველი კონსტიტუციის ტექსტის დაწვრილებითი ანალიზით. როგორც გამოირკვა, კონსტიტუციის 149 მუხლიდან დაახლოებით ნახევარი დღესაც სავსებით მისაღებია პრაქტიკულად უცვლელი სახით, დაახლოებით მეოთხედი შეიძლება ნაწილობრივ ახალი რედაქციით ჩამოყალიბდეს და მხოლოდ ერთ მეოთხედამდეა სრულიად მიუღებელი.

ამრიგად, უეჭველია, რომ დღეისათვის ყველაზე ოპტიმალურად საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი, საფუძვლიანად გადამუშავებული რედაქციის მიღება-ამოქმედება უნდა ჩაითვალოს, რასაც ამავე კონსტიტუციის 145-ე მუხლის შესაბამისად „კონსტიტუციის ნაწილობრივ გადასინჯვა" ეწოდება და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ნახევრის ან 50.000 ამომრჩევლის ინიციატივით ხდება.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში, რომელიც უცილობელ გადასინჯვას მოითხოვს, არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემა. აშკარაა, რომ ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმი ვერ შეასრულებს მასზედ დაკისრებულ ფუნქციებს. ეჭვი არ მეპარება, რომ 11 ოქტომბრიდან ახალი კონსტიტუციის მიღებამდე განვლილი გზა, დაგროვილი გამოცდილება ახალი დემოკრატიის მშენებლობისა საქართველოს თავისებურებათა გათვალისწინებით, გარდამავალი ეტაპისათვის დამახასიათებელი ძიებანი და ექსპერიმენტები, აგრეთვე უცხოური გამოცდილების გულდასმით შესწავლა დაგვეხმარება შევქმნათ ქვეყნის მართვის თანამედროვე, ეფექტიანი მოდელი.

აქვე ხაზი მინდა გავუსვა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. მიუხედავად ჩვენი ზოგიერთი ოპონენტის მტკიცებისა, რომ თითქოს დღევანდელი ავტონომიური რესპუბლიკების თვით არსებობაც კი ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს კონსტიტუციას, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია როგორც აფხაზეთის, ისე აჭარისათვის ტერიტორიულ ავტონომიას ითვალისწინებდა (იხ. მუხ. 107). რაც შეეხება დღეს არსებული ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ სტატუსს (საკუთარი კონსტიტუცია და სხვა ატრიბუტები), აქაც საქართველოს პირველ კონსტიტუციასთან არავითარი წინააღმდეგობა არ არის. 108-ე მუხლში შავით თეთრზე წერია: „წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებული იქნება ცალკე კანონით". ამ კანონის მიღება, როგორც ცნობილია, თავის დროზე ვერ მოასწრო. ისე, რომ არსებული ავტონომიური რესპუბლიკებისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება ახლაც ჩვენს ხელშია და, რაც მთავარია, კონსტიტუციის არც ერთ მუხლს არ ეწინააღმდეგება.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების და მიღების კონკრეტული მექანიზმი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1) საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ მიიღოს დადგენილება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ;

2) სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ 1993 წლის დეკემბრამდე შეიმუშაოს და შეიტანოს საქართველოს პარლამენტში კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტი, რომელიც გამოქვეყნდება საყოველთაო განხილვისათვის;

3) პარლამენტმა კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტი განიხილოს 1994 წლის მაის-ივნისში, ხმათა ორი მესამედით მიიღოს საბოლოო ტექსტი და დაინიშნოს რეფერენდუმი;

4) რეფერენდუმი ჩატარდეს 1994 წლის ოქტომბერ-ნოემბერში (ხაზს ვუსვამ, რომ ეს სავარაუდო ვადებია).

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება-მიღების ეს მექანიზმი იმითაცაა მომგებიანი, რომ ის ზუსტად იცავს „კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვისათვის" ამავე კონსტიტუციის მე-17 თავში დაწესებულ ნორმებს (მუხ. 145-147).

ბატონ ე. შევარდნაძის წინადადებით პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ. ამ კომისიას პარლამენტის გადაწყვეტილებით სახელმწიფოს მეთაური უხელმძღვანელებს.

შემდეგ კვლავ განახლდა კამათი იარაღის შესახებ კანონის პროექტის გამო, რომელიც აგერ უკვე მესამე თვეა აღელვებს არა მარტო პარლამენტის წევრებს, არამედ რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას. როგორც წინა სხდომებზე, კანონპროექტმა აზრთა სხვადასხვაობა და ცხარე კამათი გამოიწვია. პარლამენტარებმა მოისმინეს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარის ვაჟა ადამიას და თავდაცვის კომისიის თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის გამოსვლები, რომლებმაც კიდევ ერთხელ წარმოუდგინეს პარლამენტარებს ამ პრობლემის გამო ჩამოყალიბებული ორი განსხვავებული შეხედულება.

სხდომამ გვიან საღამომდე გასტანა.

ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ დედაქალაქს პატრონი ჰყავს

დედაქალაქში ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებებს მიეძღვნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ტრადიციული საორშაბათო შეხვედრა თბილისის მერიის, ქალაქის სხვა ორგანოებისა და სამსახურების ხელმძღვანელებთან.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, უკვე ისახება ნუგეშისმომცემი ძვრები ამ მიმართულებით. თბილისის მერმა კოტე გაბაშვილმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანების აღსასრულებლად, ქალაქის მერიაში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც უკვე შეუდგა ინტენსიურ მუშაობას. შტაბთან ჩამოყალიბდა რაიონული განყოფილებები, რომლებშიც გაერთიანებული არიან ადგილობრივი შინაგან საქმეთა განყოფილებების უფროსები, პროკურორები, დაზვერვის რაიონული სამსახურების ხელმძღვანელები და გამგეობების წარმომადგენლები. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად რეალური ხელშეწყობა ექნებათ რაიონულ შტაბებს ადგილებზე. სხვაგვარად იმ უაღრესად მძიმე მოვალეობის შესრულება, რომელიც აწევს ახლადშექმნილ შტაბს, ძნელი იქნება. უნდა გადანაწილდეს ფუნქციები პოლიციასა და შტაბს შორის, ვინაიდან ჯერჯერობით ყველაფერი, პრაქტიკულად, პოლიციის საქმეებია. თანდათან ჩამოყალიბდა სამხედრო პოლიციის დამოკიდებულება შტაბისადმი, ამოქმედდა სატრანსპორტო პოლიცია, გაირკვა თითოეული სამსახურის დანიშნულება. საქმიანობის კოორდინაციამ გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო — ბოლო 2-3 დღის განმავლობაში დანაშაულმა ერთგვარად იკლო, თუმცა მთელი ყურადღების პიკეტებზე კონცენტრირებამ ერთგვარად შეანელა ზედამხედველობა ქუჩებში, მეტროპოლიტენზე, საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტზე.

უმძიმეს საკითხად რჩება უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლა, იარაღის ამოღება. ყველა ღონისძიება, რომელიც მიმართულია იარაღის ამოღებისაკენ, სამართლებრივი თვალსაზრისით ბევრ პრობლემას აწყდება. იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტმა ამ ხნის განმავლობაში ვერ შეძლო შესაბამისი კანონის მიღება, ავტომატურად ძალაშია ძველი კანონები. აქედან გამომდინარე კი, როგორც განსაკუთრებით აღინიშნა შეხვედრაზე, ქალაქში შეიარაღებული ადამიანების პრობლემა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი სატკივარია.

რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი დანაშაული — ამ ანბანური ჭეშმარიტების რეალობად ქცევა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით მაინც სხვადასხვა მიზეზთა გამო ძნელი განსახორციელებელია. ვიდრე ყველა, ვინც ხელს უშლის შინაგან საქმეთა ორგანოებს თავისი მოვალეობის აღსრულებაში, არ გააცნობიერებს თავის უარყოფით როლს, შეუძლებელი იქნება ქმედითი ღონისძიებების ხორცშესხმა და იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც მათ წინაშე დგას. თუ სათანადოდ არ დაისჯება ყველა დამნაშავე, აზრს დაკარგავს დამნაშავეობის წინააღმდეგ მიმართული ყველა ღონისძიება.

კვლავ მთელი სიმწვავით დგას ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. ყოველგვარ ლოგიკას სცილდება ის ფაქტი, რომ თვით შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა შორისაც კი აღმოჩნდნენ ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზატორები და მოსარგებლენი. განსაკუთრებით მძიმე ვითარებას უქმნის ნარკომანიის მომძლავრება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს, რომელსაც სისტემატურად ესხმიან თავს ნარკოტიკების გატაცების მიზნით.

ყოველივე ამის და ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის გამო მოსახლეობაში დამკვიდრდა აზრი, რომ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, აღნიშნა შეხვედრაზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. ხალხმა რწმენა დაკარგა, რომ ოდესმე სიტუაცია გამოსწორდება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ვითარებას. არასტაბილურობის აღმოფხვრა ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა ჩვენს ხალხს ყოფას, დაუბრუნებდა რწმენას.

სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ქალაქში წესრიგის დამყარების აუცილებლობას. სხვაგვარად ზედმეტია ლაპარაკი ეკონომიკის, ბიზნესის განვითარებაზე, აღნიშნა მან. მასობრივი ყაჩაღობის პირობებში საქართველოში არ გაჩერდება არც ერთი პერსპექტიული ბიზნესმენი. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა დამნაშავეობასთან ბრძოლის მეთოდების გამკაცრების აუცილებლობა. გაძლიერებული ზედამხედველობა ესაჭიროება აეროპორტს, ვაგზალს, რადგან სწორედ აქედან იწყება დედაქალაქი. ცალკე მსჯელობის საგნად მიიჩნია საპატიმრო ადგილების პრობლემა, რადგან ამ საკითხების მოუგვარებლად შეუძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა. ამასთან ქალაქის მოსახლეობა ყოველდღიურად უნდა იგებდეს რა შედეგები მოჰყვება განხორციელებულ ღონისძიებებს, იგი თავად უნდა გრძნობდეს სასიკეთო ცვლილებებს. თუ ამას მივაღწევთ, და ჩვენი მოვალეობაც ეს არის, მოკლე ხანში იგრძნობს დედაქალაქი, რომ მას ნამდვილი, ჭეშმარიტი მზრუნველი და პატრონი ჰყავს.

მაია ალუდაური.

სურათზე: შეხვედრის დროს.

გონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნომერში

⊙ სოფლის თვითმმართველობის შესახებ კანონის პროექტი. 2
⊙ არის კი შანსი გადარჩენის? 3

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემმუშავებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 16 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს სრული დამოუკიდებლობის, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის და განვითარების, დემოკრატიული აღმშენებლობის აუცილებელი პირობაა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება და მიღება.

ამ მიზნით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემმუშავებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია.
2. არჩეულ იქნეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტის 22-ე და 28-ე-30-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით.
3. დაევალოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებთან, პარლამენტის წევრებთან კონსულტაციების შემდეგ პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს კომისიის შემადგენლობა.
4. დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას 1993 წლის დეკემბრამდე წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტი.
5. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე და სისტემატურად მოახსენებს მას კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 16 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

ბესარიონ ფაჩუაშვილი არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 16 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

სანდრო კავსაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეუწყდეს **სანდრო კავსაძეს** პარლამენტის წევრის უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 16 თებერვალი.

იქმნება თანამშრომლობის გზები

15 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, რუსეთის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი აკადემიკოსი ევგენი ველიხოვი და ცნობილი ისრაელელი ბიზნესმენი იაკობ ნიმროდი.

საუბარი შეეხო ისრაელს, რუსეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პერსპექტივებს სხვადასხვა სფეროში. აღინიშნა, რომ ურთიერთსასარგებლო იქნებოდა თანამშრომლობა ენერგეტიკის დარგში. ბატონმა ველიხოვმა ბრძანა, რომ ქართველ მეცნიერებთან ერთად მოკლე ხანში წარმოადგენს ამ დარგში თანამშრომლობის კონკრეტულ პროგრამას. აღინიშნა, რა ისრაელში სასმელი წყლის ნაკლებობა, ბატონმა ნიმროდმა დაინტერესება გამოხატა საქართველოდან სასმელი წყლის ექსპორტის თაობაზე.

აკადემიკოსმა ევგენი ველიხოვმა ისაუბრა საქართველოსა და რუსეთის სამეცნიერო წრეების ტრადიციული ურთიერთთანამშრომლობის დიდი ისტორიის შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ ეს ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბატონი თენგიზ სიგუა.

სახელმწიფოს მეთაურის პრეს-სამდივნო

ვისთვისაც ძვირფასია
სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

● **ქარხანა** „კასპელექტროაპარატმა" (დირექტორი უშანგი მოსიაშვილი) შარშან დეკემბერში ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხულ 1 მილიონ მანეთს, ამ დღეებში კიდევ 2 მილიონი მანეთი შემატა.

● **არქიტექტურისა** და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს კასპის სახელმწიფო-საწარმოო ფირმა „მშენებელმა" (დირექტორი მურთაზ ყანჩელი) 200000 მანეთი გადარიცხა.

● **საწარმოო** გაერთიანება „კასპცემენტის" კოლექტივმა (გენერალური დირექტორი სოსო ხუციშვილი) თავდაცვის ფონდში 30000 მანეთი გადარიცხა. აქედან 10000 მანეთი მეცემენტეთა პირადი დანაზოგია.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი სამძიმარს უცხადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ჯურამ ვარშალომიძეს დედის გარდაცვალების გამო.

პროექტი

კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სოფლის თვითმმართველობის შესახებ

თავი I
სოფლის თვითმმართველობის მოწყობისა და საქმიანობის პრინციპები

მუხლი 1. სოფლის თვითმმართველობა, რომელიც შედგება მამასახლისის, სამამასახლისო საბჭოსა და მეკომურთა კრებისაგან, წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მონაწილეობს რეგიონალური და რესპუბლიკური მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, შეაქვს მათ გამო წინადადებები.

მუხლი 2. სოფლის მამასახლისს ირჩევენ სოფლის ტერიტორიაზე მცხოვრები 16 წელს მიღწეული მოქალაქენი, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

სოფლის თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ.

მუხლი 3. სოფლის თვითმმართველობა:

ხელმძღვანელობს სოფლის სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას, ამტკიცებს სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროექტებს, სოფლის ბიუჯეტს და მათი შესრულების ანგარიშებს;

განიხილავს და რეგისტრაციაში ატარებს ახლად შექმნილ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და კერძო საწარმოთა წესდებებს;

ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას, ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას;

განიხილავს ამომრჩეველთა მიერ მოწოდებულ განაწესებს, ითვალისწინებს მათ სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროექტების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, ორგანიზაციას უწევს განაწესების შესრულებას, აკონტროლებს მათ რეალიზაციას, ინფორმაციას აწვდის მოქალაქეებს განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ამომრჩეველთა განაწესების შეტანის, განხილვის, აღრიცხვისა და შესრულების წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 4. სოფლის თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავის ტერიტორიაზე, კონტროლსა და კოორდინაციას უწევს ამ ტერიტორიაზე განლაგებული საზოგადოებრივი, კომერციული და კერძო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობას, მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების დარგში.

სოფლის თვითმმართველობა ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე ისმენს ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს, საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 5. სოფლის თვითმმართველობის საქმიანობას საფუძვლად უდევს საკითხების საჯარო და თავისუფალი განხილვა, მამასახლისისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელების რეგულარული ანგარიშგება მოსახლეობასა და მეკომურთა კრების წინაშე.

მუხლი 6. სოფლის თვითმმართველობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონით და მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში სოფლის თვითმმართველობა ხელმძღვანელობს აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონებითა და მინისტრთა კაბინეტების დადგენილებებით.

მუხლი 7. სოფლის თვითმმართველობა გადაწყვეტილებებს იღებს ამ კანონითა და რესპუბლიკის კანონმდებლობის სხვა აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სოფლის თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

სოფლის თვითმმართველობას, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა არ შეასრულეს მისი გადაწყვეტილებები, შესაბამის უწყებებში შეაქვს წარდგინებანი ამ ხელმძღვანელებზე დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებამდეც კი. წარდგინების განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს სოფლის თვითმმართველობას.

კერძო მეწარმეთა მიერ სოფლის თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, სოფლის თვითმმართველობა უფლებამოსილია, საკითხი განსახილველად გადასცეს მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებს.

მუხლი 8. სოფლის თვითმმართველობის ორგანოების შექმნა, გაუქმება, გაერთიანება, სოფლისათვის სახელის დარქმევა ან გადარქმევა, მისი ტერიტორიული საზღვრების დადგენა და შეცვლა, აგრეთვე, სოფლის ერთი რეგიონიდან მეორისათვის გადაცემა ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსახლეობისა და სოფლის თვითმმართველობის აზრის გათვალისწინებით.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის დროშის შესახებ კანონის შესაბამისად შენობაში, სადაც განთავსებულია სოფლის თვითმმართველობა, საქართველოს დროშა აღმართული უნდა იყოს მუდმივად.

მუხლი 10. სოფლის თვითმმართველობა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ დამტკიცებული ნიმუშის გერბიანი ბეჭედი.

თავი II
სოფლის თვითმმართველობის უფლებები და მოვალეობები

1. სოფლის მეკომურთა კრება

მუხლი 11. სოფლის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანო, მეკომურთა კრება:

1) ამტკიცებს სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ პროექტებს, კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

2) ამტკიცებს სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული პროექტების შესრულების ანგარიშებს;

3) ამტკიცებს სოფლის ბიუჯეტს, ბიუჯეტის საკასო საბრუნავ სახსრებს და შემოსავლისა და გასავლის წლიურ განაწილებას, ბიუჯეტის სახსრების განაწილებას გასავლის მუხლების მიხედვით. ამტკიცებს ადგილობრივი გადასახდელების სახეობასა და ოდენობას.

მუხლი 12. სოფლის მეკომურთა კრება კონტროლს უწევს სოფლის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის, წყლის, ტყის, წიაღისეულის გამოყენებისა და გარემოს დაცვის თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას.

მუხლი 13. სოფლის მეკომურთა კრება უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას დროებითი კომისიები სხვადასხვა პრობლემატური საკითხების შესწავლის მიზნით.

2. სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო

მუხლი 14. სოფლის თვითმმართველობის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელია სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო.

მუხლი 15. სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო ხელმძღვანელობს სოფლის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხებს.

მუხლი 16. დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) ადგენს სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ პროექტებს, ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

2) ადგენს სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული პროექტების შესრულების ანგარიშებს;

3) სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროექტების შედგენისას ითვალისწინებს ამომრჩეველთა განაწესებს;

4) ამტკიცებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიმდინარე და პერსპექტიულ საწარმოო-საფინანსო გეგმებს;

5) მონაწილეობს სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარებისა და სხვა ორგანიზაციების გეგმების პროექტთა იმ ნაწილის განხილვაში, რომელიც ეხება სოფლის მიწათსარგებლობას, ბუნების დაცვას, მშენებლობას, საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, შრომითი რესურსების გამოყენებას, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და გამოყენებას, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებას, მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურებას, თავისი წინადადებები შეაქვს ამ საკითხების გამო. საჭიროების შემთხვევაში, აჩერებს ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების განკარგულებებისა და ბრძანებების შესრულებას, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და სოფლის ინტერესებს;

6) ზემდგომი რეგიონალური ადმინისტრაციისაგან იღებს მასალებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმების პროექტების შესახებ, რომლებიც სოფლის ინტერესთა სფეროშია;

7) დადგენილი ფორმების მიხედვით აწარმოებს საკომლო დავთრებს, აღრიცხვასა და ანგარიშგებას წარუდგენს შესაბამისი რეგიონის ადმინისტრაციას, აკონტროლებს აღრიცხვისა და ანგარიშგების მიმდინარეობას მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

მუხლი 17. საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის დარგში მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) ადგენს სოფლის ბიუჯეტს და ორგანიზაციას უწევს მის შესრულებას, ბიუჯეტის შედგენის დროს ითვალისწინებს ამომრჩეველთა განაწესებს. ამტკიცებს ბიუჯეტის საკასო საბრუნავ სახსრებს და შემოსავლისა და გასავლის კვარტალურ განაწილებას. ანაწილებს ბიუჯეტის სახსრებს გასავლის მუხლების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტის სახსრები გადააქვს კარიდან კარში და მუხლიდან მუხლში. ადგენს სოფლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს;

2) ამტკიცებს იმ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვას, რომლებიც სოფლის ბიუჯეტზე იმყოფებიან, უზრუნველყოფს მათ დროულად დაფინანსებას და გამოყოფილი თანხების სწორად გამოყენებას. განსაზღვრავს ბიუჯეტში გადასახდელის და აგრეთვე ბიუჯეტიდან საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა დაფინანსების ოდენობას;

3) სოფლის ტერიტორიაზე ეწევა მუშაობას, რათა მოსახლეობიდან დროულად შემოვიდეს გადასახდელები. კონტროლს უწევს, რომ სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულმა წარმოება-დაწესებულებებმა შეიტანონ გადასახდელები სოფლის ბიუჯეტში;

4) შეღავათს ანიჭებს ადგილობრივ გადასახდელებსა და გამოსაღებებზე, ადგილობრივ გადასახდელთა და გამოსაღებთა კანონმდებლობის შესაბამისად;

5) სოფლის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ სახსრებს, აგრეთვე შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში მომჭირნეობის შედეგად წლის დამლევისათვის ჭარბი შემოსავლის თანხას ახმარს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა დაფინანსებას;

6) აღძრავს შუამდგომლობას დადგენილი წესით სახელმწიფო და კომერციული ბანკის დაწესებულებათა მიერ სოფლის მეკომურისათვის სესხის გაცემის თაობაზე;

7) ხელს უწყობს სოფლად საბანკო სისტემის განვითარებასა და ფუნქციონირებას;

8) ორგანიზაციას უწევს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი გადასახდელების შეკრებას (თვითდაბეგვრას); ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი გადასახდელების სახსრებით მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას და ანგარიშს აბარებს მეკომურთა კრებას ამ სახსრების ხარჯვის შესახებ;

9) გადაანაწილებს ზედმეტ ქონებასა და მოწყობილობას სოფლის ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის.

მუხლი 18. სოფლის მეურნეობის დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) ეხმარება სოფლის მეკომურებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში;

2) კონტროლს უწევს მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან, დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის სავალდებულო ღონისძიებათა შესრულებას;

3) ხელს უწყობს მოქალაქეთა მიერ მათს კერძო საკუთრებაში მყოფი პირუტყვის მოვლა-შენახვის ვეტერინარული წესების დაცვას და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკარანტინო წესების დაცვას.

მუხლი 19. მიწათსარგებლობის, წყლის, ტყის, წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვის, გარემოს დაცვის დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) ახორციელებს კონტროლს სოფლის ტერიტორიაზე მთელი მიწების გამოყენებაზე, აკონტროლებს საკარმიდამო ნაკვეთების ნორმების დაცვას და მათ სწორად გამოყენებას, წყვეტს მეკომურთა შორის მიწის გამო წარმოქმნილ დავას;

2) ახორციელებს კონტროლს, რომ სოფლის ტერიტორიაზე ყველა მიწათმოსარგებლე იცავდეს კანონს მიწათსარგებლობის შესახებ, ასრულებდეს ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებებს;

3) იღებს გადაწყვეტილებებს ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, სოფლის მიწებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ფარგლების შესაბამისად;

4) კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ფარგლების შესაბამისად, ახორციელებს მმართველობასა და კონტროლს წყლის, ტყისა და წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვის სფეროში;

5) ადგენს სოფლის ტერიტორიაზე მდებარე წყლის ობიექტებზე საერთო წყალსარგებლობის პირობებს, წყალმიმღები ნაგებობებით სარგებლობის წესებს, სოფლის ტერიტორიაზე ცენტრალიზებული წყალმომარაგების წესით მოსახლეობისათვის სასმელი, საყოფაცხოვრებო და სხვა საჭიროებისათვის წყლის მისაწოდებლად, წყვეტს სოფლის ტერიტორიაზე მდებარე წარმოება-დაწესებულებების არაცენტრალიზებული წყალმომარაგების საკითხებს, წყლით სარგებლობის შესახებ წარმოქმნილ დავას;

6) აკონტროლებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ ტყით სარგებლობისა და საერთო სარგებლობის წიაღისეულის გამოყენების საკითხებს დადგენილი წესით;

7) ახორციელებს კონტროლს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და მოქალაქეების მიერ ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე, ხელს უწყობს გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას, ნადირობისა და თევზჭერის დადგენილ წესებს.

მუხლი 20. სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო ხელმძღვანელობს ადგილობრივი მრეწველობის მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას და უზრუნველყოფს მათ მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას.

მუხლი 21. მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) განიხილავს და მეკომურთა კრებას წარუდგენს სოფლის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს, კონტროლს უწევს განაშენიანების პროექტის შესრულებას. შეაჩერებს მშენებლობას, თუ იგი წარმოებს სოფლის განაშენიანების გეგმის დარღვევით;

2) კონტროლსა და ორგანიზაციას უწევს სოფლის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისა და კომუნალური საწარმოების მშენებლობას. განიხილავს საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს ამ საკითხზე;

3) ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გადასაყვან საშუალებათა მშენებლობასა და რემონტს, აკონტროლებს მათ მოვლა-პატრონობას;

4) ორგანიზაციას უწევს სოფლის ტერიტორიაზე საავტომობილო და სხვა სახის ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურებას, უზრუნველყოფს სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებათა ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ორგანიზაციის სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოთა წარმოების მიზნით;

5) ორგანიზაციას უწევს სოფლის კავშირგაბმულობის სისტემებით უზრუნველყოფას.

მუხლი 22. საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) უზრუნველყოფს მის გამგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლების, კომუნალური საწარმოების, ადმინისტრაციული და სხვა შენობების სწორ ექსპლოატაციას, ორგანიზაციას უწევს მათ კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს, უზრუნველყოფს საქვეუწყებო არასაცხოვრებელი ნაგებობების სწორ სამეურნეო გამოყენებას;

2) ანაწილებს მის გამგებლობაში არსებულ საბინაო ფონდს;

3) იღებს ზომებს სოფლის ბიუჯეტზე მყოფი განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა სათბობით, განათებით, ინვენტარით უზრუნველყოფისათვის, მათი შენობების რემონტისათვის და ამ დაწესებულებათა მუშაკებისათვის საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებაში ქველმოქმედების სახით მონაწილეობის მისაღებად იზიდავს სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებს;

4) ხელმძღვანელობს სოფლის კეთილმოწყობას, სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული ორგანიზაცია-დაწესებულებების თანხმობით აერთიანებს მათ მიერ კეთილმოწყობისათვის გამოყოფილ სახსრებს, კონტროლს უწევს ამ თანხების მიზნობრივ გამოყენებას, ახორციელებს ღონისძიებებს მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა და ტყის, წყალსატევებისა და მშრომელთა დასვენების ადგილების დაცვისათვის. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელს არქმევს სოფლის ქუჩებსა და მოედნებს, აწესებს სახლების ნუმერაციას;

5) ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სოფლის დაქვემდებარებულ საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოთა ხელმძღვანელებს;

6) უზრუნველყოფს სასაფლაოებისა და დაკრძალვის სხვა ადგილების სათანადო მოვლას.

მუხლი 23. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) კონტროლს უწევს სახელმწიფო, კოოპერაციულ და კომერციულ ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას სოფლის ტერიტორიაზე. ადგენს და ამტკიცებს ამ დარგის ობიექტების განლაგებისა და სპეციალიზაციის პროექტებს. ხელს უწყობს მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომერციული ფორმების განვითარებას;

2) იღებს ზომებს მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გასაფართოებლად. კოორდინაციას უწევს სამრეწველო და სასურსათო საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეს.

მუხლი 24. განათლების დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) უზრუნველყოფს სოფლად განათლების ქსელის ფორმირებასა და განვითარებას, ახალგაზრდობის საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებას, სასკოლო ასაკის ბავშვების აღრიცხვას;

2) ორგანიზაციას უწევს სოფლის ტერიტორიაზე სკოლების და ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მშენებლობას, შენობების შეკეთებას და სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფას;

3) იღებს ზომებს, რომ მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები მოეწყონ სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში და მოქალაქეთა ოჯახებში აღსაზრდელად. ორგანიზაციას უწევს მუშაობას არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის აღსაკვეთად;

4) ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სოფლის სკოლების და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელებს;

5) ქმნის საყოველთაო სწავლების ფონდს სოფლის ბიუჯეტისა და სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებათა სახსრების ხარჯზე. ანაწილებს საყოველთაო სწავლების ფონდს და კონტროლს უწევს მის სწორად გამოყენებას.

მუხლი 25. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებული სოფლის კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სხვა დაწესებულებათა მუშაობას. კოორდინაციას უწევს სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა საუწყებო დაქვემდებარების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციათა მუშაობას, იღებს ზომებს კულტურის დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად;

2) კონტროლს უწევს მისდამი დაქვემდებარებულ კულტურის დაწესებულებებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ გამოყენებას;

3) ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მისდამი დაქვემდებარებულ კულტურის დაწესებულებათა ხელმძღვანელებს;

4) კონტროლს უწევს სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვასა და გამოყენებას.

მუხლი 26. ჯანმრთელობის დაცვის დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციას, ხელმძღვანელობს სოფლის ბიუჯეტზე მყოფი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობას. კოორდინაციას უწევს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობას და იღებს ზომებს მათი რაციონალურად გამოყენებისათვის;

2) ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მისდამი დაქვემდებარებულ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელებს;

3) ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს სანიტარიულ-პროფილაქტიკური და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში, მოსახლეობის სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციაში. კონტროლს უწევს დასახლებული პუნქტების, წყალმომარაგების წყაროების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სხვა დაწესებულებების სანიტარიულ მდგომარეობას;

4) ეპიდემიურ ინფექციურ დაავადებათა გაჩენის შემთხვევაში, იღებს ზომებს, რათა შენობები გამოყენებულ იქნეს ავადმყოფების მოსათავსებლად, ატარებს საკარანტინო ხასიათის ღონისძიებებს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას;

5) უზრუნველყოფს დედათა და ბავშვთა დაცვის ღონისძიებათა გატარებას.

მუხლი 27. კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის განხორციელების დარგში მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1) უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების აქტების შესრულებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

2) უზრუნველყოფს სახელმწიფო და სასოფლო საკუთრების, მოქალაქეთა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვას, ორგანიზაციას უწევს მოსახლეობისათვის კანონების განმარტებას;

3) აუქმებს სოფლის ბიუჯეტზე მყოფი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომლებიც კანონს ეწინააღმდეგება;

4) შეაჩერებს მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების საკითხებზე კოლმეურნეობათა, სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საერთო კრებების ან მათ რწმუნებულთა კრებების, სამომხმარებლო საზოგადოების წევრთა საერთო კრებების ან მეპაიეთა საუბნო კრებების, კოლმეურნეობათა და სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც კანონს ეწინააღმდეგება და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

5) კონტროლს უწევს მუნიციპალური პოლიციის მუშაობას სოფლის ტერიტორიაზე;

6) იღებს მოქალაქეებს; კანონით დადგენილ ვადებში განიხილავს მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს და ღებულობს საჭირო ზომებს მათ გამო;

7) კონტროლს უწევს საპასპორტო სისტემის წესების შესრულებას და დადგენილი წესით აწარმოებს მოქალაქეთა ჩაწერასა და ამოწერას;

8) კანონმდებლობის შესაბამისად, აწარმოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას;

9) ნიშნავს მეურვეებსა და მზრუნველებს, კონტროლს უწევს მათ მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებას;

10) რეგისტრაციაში ატარებს კომლის საოჯახო-ქონებრივ გაყოფას;

11) კანონის შესაბამისად, ასრულებს სანოტარო მოქმედებებს;

12) მოქალაქეებს აძლევს პიროვნების, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს;

13) იღებს ზომებს უპატრონო ქონების, აგრეთვე, მემკვიდრეობის წესით სახელმწიფოს ან სოფლის საკუთრებაში გადასული ქონების მოვლა-პატრონობისა და გამოყენებისათვის;

14) ორგანიზაციას უწევს სოფლის ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებას, სახანძრო რაზმების მუშაობას;

15) იღებს ზომებს სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციისათვის, საჭირო შემთხვევაში, სტიქიურ უბედურებებთან საბრძოლველად და მათი შედეგების სალიკვიდაციოდ დადგენილი წესით მოიზიდავს მოსახლეობას;

16) კონტროლს უწევს რელიგიის შესახებ კანონმდებლობის დაცვას;

17) რეგისტრაციაში ატარებს სოფლის ტერიტორიაზე ახლად შექმნილ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, კერძო და კოოპერაციულ საწარმოთა წესდებებს.

მუხლი 28. შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1. ხელს უწყობს მოქალაქეთა შრომით მოწყობას, ეხმარება მათ სპეციალობის შეძენაში; კონტროლს უწევს მოზარდთა და ახალგაზრდათა სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან დათხოვნის წესების დაცვას;

2. უზრუნველყოფს ინვალიდების, სამხედრო მოსამსახურეთა, დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრების შრომით მოწყობას, კონტროლს უწევს, რომ ამ პირთ მიეცეთ კანონმდებლობით დადგენილი შეღავათები, ხელს უწყობს ინვალიდთა პროფესიულ სწავლებას;

3. კონტროლს უწევს საპენსიო კანონმდებლობის დაცვას; საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მუშებს, მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს პენსიების დანიშვნაში; კონტროლს უწევს საარქივო დოკუმენტების შენახვას;

4. სოფლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში დახმარებას უნიშნავს იმ პირთ, რომელთაც არა აქვს სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება;

5. წინადადებანი შეაქვს სახელმწიფო მმართველობის ზემდგომ ორგანოებში მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების დანიშვნის, სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მოქალაქეებისათვის ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ; ხელს უწყობს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომ მათ დაენიშნოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარება;

6. ზრუნავს მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

7. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მეშვეობით იღებს ზომებს ინვალიდთა და ღრმად მოხუცთა სახლებში იმ პირთა მოსაწყობად, რომლებიც ამას საჭიროებენ; აკონტროლებს სოფლის ტერიტორიაზე ინვალიდთა და ღრმად მოხუცთა სახლების მუშაობას.

მუხლი 29. თავდაცვითი მუშაობის დარგში სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო:

1. ხელს უწყობს ყველა მოქალაქის მიერ საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის შესრულებას;

2. ხელს უწყობს სოფლად სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციას.

მუხლი 30. სოფლის მამასახლისსა და სამამასახლისო საბჭოს შეუძლია ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს მოქალაქეებსა და თანამდებობის პირთ, საზოგადოებრივი წესრიგის, დასახლებულ ტერიტორიაზე სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფის, ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის წესების, სოფლის ტერიტორიაზე კეთილმოწყობისა და განაშენიანების, აგრეთვე სამეურნეო ნაკვეთებში ნათესების წახდენისა და სხვა დარღვევებისათვის იმ შემთხვევაში, და იმ წესით, რომლებიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 31. სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო აღძრავს შუამდგომლობას სახელმწიფო მართვის ორგანოებში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით მოქალაქეთა დასაჯილდოებლად წარდგინების შესახებ.

თავი III
სოფლის თვითმმართველობის მუშაობის ორგანიზაცია

1. სოფლის მეკომურთა კრება

მუხლი 32. სოფლის მეკომურთა კრებას იწვევს სოფლის სამამასახლისო საბჭო და სოფლის მამასახლისი წელიწადში არანაკლებ ორჯერ.

მეკომურთა კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე, სოფლის მეკომურთა არანაკლებ ერთი მესამედის, მამასახლისის ან სამამასახლისო საბჭოს წარდგინებით. სოფელში, სადაც ორასამდე კომლია, მოიწვევა მეკომურთა კრება, ხოლო სადაც, ორასზე მეტი კომლია — მეკომურთა წარმომადგენლობა, რომლის არჩევის წესს ადგენს სამამასახლისო საბჭო.

სოფლის მეკომურთა კრებაზე კომლი და მეკომურთა წარმომადგენელი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

მუხლი 33. სოფლის მეკომურთა კრებას იწვევს სოფლის მამასახლისი არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების ჩატარების შემდეგ. კრებას ხსნის სოფლის მამასახლისი.

ახლად შექმნილ სოფელში მეკომურთა კრებას იწვევს საინიციატივო ჯგუფი არა უგვიანეს ორი კვირისა დასახლებული პუნქტისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების დღიდან, ხოლო ახლად შექმნილ სოფელში არჩევნების ჩატარების შემთხვევაში — საარჩევნო კომისია.

მეკომურთა კრების გასაძღოლად მეკომურთაგან აირჩევა კრების თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 34. სოფლის მეკომურთა კრების მოწვევის დროსა და ჩატარების ადგილს, აგრეთვე განსახილველად შეტანილ საკითხებს მამასახლისი მოსახლეობას აცნობებს კრების ჩატარებამდე არა უგვიანეს 20 დღისა.

მუხლი 35. სოფლის მეკომურთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სოფლის მეკომურთა ან მეკომურთა წარმომადგენელთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ ორი მესამედი.

მეკომურთა კრებაზე დასწრება შეუძლიათ რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებს სათათბირო ხმის უფლებით, აგრეთვე, კრებაზე მოწვეულ მოქალაქეებს და სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

მუხლი 36. სოფლის მეკომურთა ყრილობაზე საკითხები განსახილველად შემოაქვთ მამასახლისს, სამამასახლისო საბჭოს და მეკომურთა ჯგუფს არა ნაკლებ 20 კაცის შემადგენლობით.

კრების დღის წესრიგს და მუშაობის წესს ადგენს სამამასახლისო საბჭო.

მუხლი 37. მეკომურთა კრება უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც სოფლის თვითმმართველობის გამგებლობას განეკუთვნება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მხოლოდ და მხოლოდ მეკომურთა კრებაზე შეიძლება განხილულ იქნეს და გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

1. სოფლის მამასახლისისა და სამამასახლისო საბჭოს მუშაობის ანგარიში;

2. სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული პროექტებისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცება;

3. ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა პროექტების განხილვა და დამტკიცება;

4. სოფლის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

5. ახალი სოფლის შექმნის, სხვა სოფელთან გაერთიანების, გაუქმების, სახელის დარქმევის ან გადარქმევის, სოფლის ტერიტორიის საზღვრების დადგენისა და შეცვლის, სოფლის ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონისათვის გადაცემის შესახებ რეგიონალურ წარმომადგენლობით ორგანოში წარდგინებათა დამტკიცება.

მუხლი 38. სოფლის მეკომურთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით კრებაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 39. სოფლის მეკომურთა კრების გადაწყვეტილებები ეცნობება შესაბამის ორგანიზაციებს, ადმინისტრაციას, და დაინტერესებულ პირებს არა უგვიანეს ხუთი დღის ვადაში, რომელთა განხილვის შედეგები თვითმმართველობას უნდა ეცნობოს არა უგვიანეს ათი დღისა.

მუხლი 40. სოფლის მეკომურთა კრების გადაწყვეტილებანი, თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონმდებლობას, შეიძლება გაუქმებულ იქნეს რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

2. სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო

მუხლი 41. სოფლის მამასახლისს ირჩევს სოფლის მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

სოფლის მამასახლისის არჩევიდან არა უგვიანეს ათი დღისა, ყალიბდება სამამასახლისო საბჭო, რომელიც სარგებლობს საკონსულტაციო უფლებებით. სამამასახლისო საბჭოში შეიძლება მიწვეულ იქნენ სოფლის ღირსეული ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ ავტორიტეტით სოფლის მოსახლეობაში. სამამასახლისო საბჭოს რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს მამასახლისი.

მუხლი 42. სოფლის მამასახლისი ანგარიშვალდებულია, მეკომურთა კრების წინაში და სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ ანგარიშს აბარებს მას.

მუხლი 43. სოფლის მამასახლისი ხელმძღვანელობს სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას სოფლის ტერიტორიაზე სოფლის მეკომურთა კრებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

სოფლის მამასახლისსა და სამამასახლისო საბჭოს უფლება აქვს გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელიც მის გამგებლობას ეკუთვნის, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ამ კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად უნდა გადაწყდეს მხოლოდ მეკომურთა კრებაზე.

მუხლი 44. სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო იწვევს სოფლის მეკომურთა კრებას და უზრუნველყოფს მის მომზადებას.

მუხლი 45. სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო კოორდინაციას უწევს დროებით შექმნილი კომისიების მუშაობას, განიხილავს კომისიების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებსა და წინადადებებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 46. სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო ორგანიზაციას უწევს მეკომურთა კრებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას და აცნობებს მოსახლეობას მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მუხლი 47. სოფლის მამასახლისი სამამასახლისო საბჭოს სხდომას იწვევს საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც.

სამამასახლისო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა საერთო შემადგენლობის ორი მესამედი მაინც.

სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს განკარგულებებს და იღებს გადაწყვეტილებებს.

სამამასახლისო საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით და მას ხელს აწერს სოფლის მამასახლისი და საქმეთა მმართველი.

სოფლის მამასახლისი გამოსცემს განკარგულებას.

მუხლი 48. სოფლის მამასახლისისა და სამამასახლისო საბჭოს განკარგულებები და გადაწყვეტილებები შეიძლება შეაჩეროს და გააუქმოს სოფლის მეკომურთა კრებამ და რეგიონულმა წარმომადგენლობითმა ორგანომ.

მუხლი 49. სოფლის მამასახლისი ორგანიზაციას უწევს სოფლის მამასახლისის აპარატის მუშაობას და სამამასახლისო საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებას, გამოსცემს განკარგულებებს ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

სოფლის მამასახლისი არის სოფლის ბიუჯეტის კრედიტთა და მიმდინარე ანგარიშის განმკარგულებელი სახელმწიფო და კომერციული ბანკის დაწესებულებებში.

მუხლი 50. სოფლის მამასახლისის აპარატის საქმეთა მმართველი ამზადებს მასალებს მეკომურთა კრებისათვის და სამამასახლისო საბჭოს სხდომისათვის, აწარმოებს საბჭოს სხდომის ოქმებს, თვალყურს ადევნებს, რომ მეკომურთა კრებისა და სამამასახლისო საბჭოს გადაწყვეტილებები დროულად ეცნობოს შემსრულებლებს, პასუხს აგებს საქმის წარმოების, აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის, სოფლის თვითმმართველობის საბუთების შენახვისათვის, ასრულებს მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 51. სოფლის მამასახლისის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებებს, ვიდრე არ ჩატარდება არჩევნები.

3. სოფლის თვითმმართველობის დროებითი კომისია

მუხლი 52. სოფლის მეკომურთა კრება, მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო ქმნიან დროებით კომისიებს, რომელთა შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ როგორც სამამასახლისო საბჭოს წევრები, ასევე სოფლის მოქალაქეები, დროებითი კომისიები იქმნება თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და იმ პრობლემატურ საკითხთა შესწავლის მიზნით, რომლებიც სოფლის თვითმმართველობის კომპეტენციაშია.

კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების შემადგენლობით. კომისიის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს სოფლის მამასახლისი და სამამასახლისო საბჭო.

მუხლი 53. კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან მამასახლისისა და სამამასახლისო საბჭოს წინაშე.

მუხლი 54. კომისიებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ, შესაბამისი მასალები და დოკუმენტები მოსთხოვონ სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო და სოფლის დაქვემდებარებაში არსებულ, ასევე კოოპერაციულ და კერძო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

მუხლი 55. კომისია ადგენს ანგარიშს შესაბამისი მასალებისა და წინადადებების თანდართვით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, და წარუდგენს სოფლის მამასახლისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ხარისხიანი პროდუქცია, შემდეგ —საერთაშორისო ბაზარი

საქართველოს პარლამენტის აგრარულ კომისიასთან შეიქმნა აგრობიზნესის ქვეკომისია. პარლამენტის პრესცენტრის კორესპონდენტმა ნაზი ღლონტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ქვეკომისიის თავმჯდომარეს, პარლამენტის წევრს ბატონ გურამ ბეწაძეს.

— რას ითვალისწინებს აგრობიზნესის ქვეკომისიის მუშაობა?

— აგრობიზნესის ქვეკომისია აგრარული კომისიის ერთ-ერთი აქტიური სამუშაო დანაყოფია. მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული შემოსავლის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობაში იქმნება. სოფლის მეურნეობის და მთლიანად რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირებაზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის განხორციელება. უახლოეს წლებში უნდა გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა ქართული ღვინო, ჩაი, ციტრუსი, ეთერზეთები და სხვა პროდუქტები დამკვიდრდეს საერთაშორისო ბაზარზე, რისთვისაც არსებითად უნდა ამაღლდეს წარმოებული საქონლის ხარისხი, ამისათვის საჭიროა კარდინალური სტრუქტურული ცვლილებები აგროსამრეწველო სექტორში, რომელიც ძირითადად მოიცავს სოფლის მეურნეობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, რეალიზაციას. აგროსამრეწველო კომპლექსში განსახორციელებელია სახელმწიფო და კერძო ინტერესების ზომიერი შეწონასწორება; უნდა განვითარდეს საკუთრების ყველა ფორმა. საფუძვლიანად უნდა შეიცვალოს საინვესტიციო პოლიტიკა, დაბეგვრის სისტემა, ხელი უნდა შეეწყოს ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვას, მაღალპროდუქტიული თესლების, კულტურების და მაღალპროდუქტიული ჯიშების მოზიდვას აგროსამრეწველო კომპლექსში.

აგრობიზნესის ქვეკომისია ამ პროცესების ხელშეწყობის და საკანონმდებლო დონეზე მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის არის მოწოდებული.

ქვეკომისიამ თავისი საქმიანობით ხელი უნდა შეუწყოს აგროსამრეწველო სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას, სოფლად მეურნეობრიობის თანამედროვე მეთოდების დანერგვასა და განვითარებას, სასაქონლო პროდუქციის წარმოების ზრდას, კვების პროდუქტებით სამომხმარებლო ბაზრის უზრუნველყოფას, სოფლად საკუთრების სხვადასხვა ფორმის (სახელმწიფო, კერძო, შერეული) განვითარებას, აგრეთვე პრივატიზაციის პროცესების თანამიმდევრულ განხორციელებას. ქვეკომისიამ სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს აგროსამრეწველო კომპლექსის, საწარმოო საშუალებათა ბაზის განმტკიცებას, აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი კომერციული სტრუქტურების (საშუამავლო, საბროკერო და საბირჟო) ფუნქციონირება უზრუნველყოს კანონმდებლობით. ასევე ხელი შეუწყოს რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებული პროდუქტების საერთაშორისო ბაზარზე გატანას.

ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ქვეკომისია დამოუკიდებლად და სხვა ქვეკომისიებთან თანამოქმედებით შეიმუშავებს კანონთა პროექტებს, შეისწავლის, გააანალიზებს და გააკონტროლებს აგროსამრეწველო კომპლექსში არსებულ პრობლემებს, განიხილავს აქტუალურ საკითხებს, გამოიტანს თავის დასკვნებს წინადადებებისა და მოსაზრების სახით აგრარული კომისიის წინაშე. ქვეკომისიას განზრახული აქვს შექმნას ექსპერტ-სპეციალისტთა სამუშაო ჯგუფი, რომლებიც სისტემატურად შეისწავლიან და მიაწოდებენ ქვეკომისიას ქვეყნების პროდუქტებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მსოფლიო ფასების კონიუნქტურას. ეს აუცილებელი ინფორმაციაა რესპუბლიკაში აგრობიზნესის პროცესების სწორად წარმართვისათვის.

— როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოში აგრობიზნესის განვითარების პერსპექტივა?

— დღესდღეობით მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს. უპირველეს ყოვლისა ეს თავსმოხვეული ომი, აგრეთვე რესპუბლიკაში კრიმინოგენული ვითარება, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის არაეფექტურობა, ინფლაციური პროცესების ზრდა, საწარმოო სიმძლავრეების დაძველება, მათი ცვეთა, საწვავ-საცხები მასალების ქრონიკული ნაკლებობა, შესყიდვისა და დამზადების სისტემების პარალიზება, რაც მთავარია — პრივატიზების პროცესების დაბრკოლებებით განხორციელება, წარმოებაში დამკვიდრებული მონოპოლიზმი, კონკურენციის არარსებობა. ყოველივე ეს უნდა აღმოიფხვრას, თანაც უმოკლეს ვადაში. ბიზნესის განვითარება დამოკიდებულია აგრეთვე წარმოების განვითარების კულტურასთან. ჩვენში დამკვიდრებული პრაქტიკა, სამწუხაროდ, მოწმობს, რომ კომერცია ძირითადად სპეკულაციას დაემსგავსა, მაგაზინი ხელს ითბობენ დეფიციტით. ასეთი ნეგატიური პრაქტიკა უნდა უკუვაგდოთ. თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მოსახლეობის განსაკუთრებულად გაჭირვებული ფენების უზრუნველყოფა საკვები პროდუქტებით, ხოლო კომერციულ სტრუქტურებს უნდა მიეცეთ სტიმულირება კერძო წარმოების განვითარებისათვის, თუ ისინი ჩართული არიან ქველმოქმედებაში.

პრობლემა

— როგორ გესახებათ საბაზრო ეკონომიკის განვითარება დღევანდელი გზით?

— საბაზრო ეკონომიკის საფუძველია საკუთრების სხვადასხვაგვარი ფორმის არსებობა და მათი თავისუფალი განვითარება. როგორც ცნობილია, სოციალისტური სისტემა დაფუძნებული იყო მმართველობის მკაცრ ცენტრალიზაციაზე. დღეისათვის სიტუაცია იცვლება უკეთესობისაკენ, განსახელმწიფოებრიობის კურსს ალტერნატივა არა აქვს. ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში გადაიდგა დადებითი ნაბიჯები: შეიქმნა მცირე საწარმოები, ერთობლივი საწარმოები, ფირმები, კოოპერაციები, კომერციული ბანკები, კონცერნები, კორპორაციები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, კერძო ფირმები და სხვ. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ამოქმედდეს პირადი ინიციატივები, თანაც მათთვის დაკანონებული სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ინტერესებიდან გამომდინარე. ყოველივე ეს საკუთრების არასახელმწიფოებრივი ფორმების ფართო დანერგვის წინაპირობაა. ეს პროცესები დაჩქარდება პრივატიზაციის ფართომასშტაბურად განხორციელების შედეგად. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებას უნდა შეეწყოს ხელი და აგრობიზნესის ქვეკომისიის საქმიანობის მთავარი ამოცანა სწორედ ეს არის. მაგრამ ძველი სტრუქტურების ნაჩქარევი დაშლა ყოველთვის არ იწვევს სასურველ შედეგებს, თუ მოფიქრებული არ არის რეალობიდან გამომდინარე მათი ნაწილობრივ ან მთლიანად შეცვლა.

პარალელურად ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვაში გადამუშავებასა და რეალიზაციაში ბიზნესის ჩართვას. განსახორციელებელია კერძო და კომერციული სტრუქტურებისათვის შეღავათიანი გრძელვადიანი კრედიტების გაცემა; საჭიროებისამებრ მათ უნდა გამოეყოთ სათანადო მიწები და საწარმოო ფართობი. სხვაგვარად პროდუქტებზე მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება სრულფასოვნად და სტაბილურად.

—როგორ გესახებათ აგრარულ სფეროში ექსპორტ-იმპორტის მომავალი?

— სადღეისოდ საქართველოში წარმოებული ჩაის, ღვინის, შამპანიურ-კონიაკის, ციტრუსების და სხვა პროდუქციის უმეტესი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ამავე დროს ამგვარ პროდუქციაზე მაღალი მოთხოვნაა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. ჩემი აზრით, უარი არ უნდა ვთქვათ „სნგ“-ს ბაზრებზე, რომელთაც კარგად ვიცნობთ და შეიძლება კონკურენცია გავუწიოთ სხვა მომწოდებლებს. ცნობილია, რომ რუსეთის ბაზრის დაპყრობას მრავალი განვითარებული ქვეყნები ცდილობენ. ასე მაგალითად, რუსეთში სულ მალე გაიხსნება ინდოეთის ჩაის ბირჟა, რაც მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევს ქართულ ჩაის. ამავე დროს მთელი რიგი შესაფუთი თუ სხვა მასალები, რომელიც რუსეთიდან შემოგვქონდა, შესაძენი გაგვიხდება სხვა ქვეყნებიდან კონვერტირებულ ვალუტაზე. ხოლო ვინაიდან ჩვენი პროდუქცია კონკურენტუნარიანობით ვერ გამოირჩევა, მისი სათანადო რაოდენობით რეალიზაცია სხვა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში გაგვიჭირდება, თუმცაღა ამ მიმართულებით მაქსიმალურად უნდა ვიმუშაოთ, რათა კონვერტირებულ ვალუტაზე რაც შეიძლება მეტი პროდუქცია გაიყიდოს ან გაიცვალოს ბარტერული წესით რესპუბლიკისთვის საჭირო საქონელზე.

ამისათვის საჭიროა გავაუმჯობესოთ ჩვენი პროდუქციის ხარისხი. ამავე დროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები უნდა დავაინტერესოთ სავალუტო შემოსავლებით, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის უცხოეთში რეალიზაციის შედეგად მიღებული სავალუტო შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მათ დარჩებათ, ან ამ თანხით მათ შეიძინონ და ჩამოიტანონ იმპორტული საქონელი. ამგვარი ურთიერთობების ჩამოყალიბება გრძელვადიანი ხელშეკრულებების დადების გარანტია იქნებოდა.

საქართველოში დღეისათვის იწარმოება მაღალხარისხოვანი ფუტკრის შხამი, რომელიც აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნას. ახლა საჭიროა ამ პროდუქციის გასაყიდად უცხოელი პარტნიორის მოძებნა და მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება.

ექსპორტ-იმპორტის განვითარება დამოკიდებულია საგარეოეკონომიკურ საქმიანობაზე. ამგვარი სამსახურები უნდა მოღვაწეობდნენ ეფექტურად და ამოქმედდეს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურები.

იმედი მაქვს, რომ აგრობიზნესის ქვეკომისიას აქტიური ურთიერთობა ექნება რესპუბლიკაში არსებულ ყველა საბაჟოსთან და სამეურნეო ორგანიზაციის ფორმირებებთან, მათთან კონსულტაციების და პროგრამების შესწავლის საფუძველზე შეიმუშავებს სათანადო კანონებს, აგრარული კომისიის მეშვეობით გაიტანს საქართველოს პარლამენტის სხდომებზე დასამტკიცებლად, რითაც ხელს შეუწყობს მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებას.

ვიზიტად ტაილანდში

უნგრეთის პრეზიდენტი არპად ჰენცი ტაილანდში ჩავიდა ამ ქვეყნის მეფე-დედოფლის მიწვევით. ტაილანდში უნგრეთის უმაღლესი ხელმძღვანელის ეს პირველი ოფიციალური ვიზიტი უკავშირდება ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მე-20 წლისთავს, რომელიც წელს აღინიშნება. 4-დღიანი ვიზიტის დროს პრეზიდენტი, რომელსაც ახლავან ეკონომიკურ ურთიერთობათა, ფინანსთა, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრები, აგრეთვე 40-მდე ბიზნესის წარმომადგენელი, მოლაპარაკებას გამართავს ტაილანდის პრემიერ-მინისტრთან ჩუან ლიკპაისთან, ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის გააქტიურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეხვდება ქვეყნის საქმიან ადამიანებს.

პრეზიდენტი აპირებს გააღრმაოს პოლიტიკური დიალოგი ტაილანდთან.

1991 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 1.595 მილიონი ბატი შეადგინა. ტაილანდს უნგრეთში გააქვს ყავა, საფეიქრო ნაწარმი, დაკონსერვებული ხილი, შემოაქვს — ქიმიური პროდუქცია, წამლები, სასუქები, სამანქანო მოწყობილობა.

პარლამენტის სპიკერის წინადადება

რუსეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, სპიკერმა რუსლან ხასბულატოვმა წინადადება შეიტანა აპრილისათვის დანიშნულ რეფერენდუმზე დააყენონ პრეზიდენტის, მთავრობისა და უზენაესი საბჭოსადმი ნდობის საკითხი. მან თქვა, აგრეთვე, რომ მისი აზრით, რეფერენდუმზე უნდა დასვან პრეზიდენტისა და პარლამენტის ვადამდელი (არაუგვიანეს ამა წლის გაზაფხულისა) არჩევნების საკითხი.

მეათე მოძღვრული მოგზაურობა

რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაური იოანე პავლე მეორე დაბრუნდა ვატიკანში აფრიკის ქვეყნებში მეათე მოძღვრული მოგზაურობიდან. ერთი კვირის მანძილზე რომის პაპი იწვია ბენინს, უგანდასა და სუდანს. იგი შეხვდა ეკლესიის ადგილობრივ იერარქებს. მოიარა რამდენიმე ეპარქია, გამოვიდა კათოლიკეების, სხვა კონფესიების წარმომადგენლების, ტრადიციული ანიმისტური კულტების მიმდევრების წინაშე. დიდი რეზონანსი ჰქონდა პონტიფიკის მიმართვას მთელი მსოფლიოს მეცნიერებისადმი, რაც შეიძლება მალე შექმნან ეფექტიანი საშუალება შიდსის სამკურნალოდ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ახალი პუტჩის შესაძლებლობა

ვენესუელის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ივან დარიო ხიმენესმა კვირას უარყო ჭორები, რომ შესაძლებელია მოხდეს ახალი პუტჩი ქვეყანაში, თუმცა კი აღიარა უკმაყოფილების არსებობა სამხედრო მოსამსახურეთა შორის. გაზეთ „უნივერსალისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ახლანდელი მთავრობის ზოგიერთი პოლიტიკური ოპონენტის მტკიცებანი არმიაში გათიშვის შესახებ ნიადაგს მოკლებულია. სიტუაცია შეიარაღებულ ძალებში შარშან თებერვალსა და ნოემბერში სამხედრო გადატრიალების ორი ცდის შემდეგ თანდათანობით სტაბილური ხდება. ამასთანავე, ამ გამოსვლების შედეგები კვლავ ნეგატიურ გავლენას ახდენს სამხედრო მოსამსახურეთა გარკვეული ნაწილის განწყობილებაზე, რაც სერიოზული დაბრკოლებაა არმიის გარემოში მდგომარეობის საბოლოო ნორმალიზაციისათვის. თავდაცვის სამინისტროს მეთაურმა განაცხადა, რომ დღემდე პუტჩის ჩაშლილი ცდების თითქმის 150 მონაწილის საქმე ძიებაშია.

ახლანდელი სიტუაცია ვენესუელაში, თქვა მან, მოითხოვს პოლიტიკურ დიალოგს, თავშეკავებულობას. თუ ხელისუფლებმა და ოპოზიციამ ვერ მიაღწიეს თანხმობას, ქვეყანაში შეიძლება გაჩნდეს ანარქია. საჭიროა გაუქმდეს ამჟამად არსებული პრივილეგიები საზოგადოებაში მისი გაჯანსაღების მიზნით, ვეძებოთ ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების ერთობლივი გადაჭრის გზა. სამხედრო მოსამსახურეები, ისევე როგორც მოსახლეობის სხვა ფენებიც, იტანჯებიან საზოგადოებაში პოლიტიკური და სოციალური კრიზისის გამო, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა.

თითო აბზაცით

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი 12-დღიან შვებულებაში გავიდა. როგორც აცნობა იტარ-ტასს პრეზიდენტის პრესსამსახურმა, ბორის ელცინი შვებულებას მოსკოვის ოლქში გაატარებს.

წყნარი ოკეანის ფლოტის ცენტრალურ ჰოსპიტალში საავტომობილო ავარიის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა წყნარი ოკეანის ფლოტის კონტრდაზვერვის უფროსი კონტრადმირალი ნიკოლოზ ეგორკინი. ავარია მოხდა ვლადივოსტოკიდან აეროპორტში მიმავალ ავტოსტრადაზე.

წერილების ექო

„რამდენიც კაცია, იმდენი აზრია“

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წელი, № 248

რედაქციას უპასუხებს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თ. მაგრაქველიძე.

სატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობამ განიხილა 1992 წლის 4 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია „რამდენიც კაცია, იმდენი აზრია“, სადაც ლ. ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ი. შავლიაშვილი გამოთქვამს შენიშვნას № 1 მარშრუტის (დიღმის მასივი—ბაგები) მოძრაობის სქემის დამოკლების შესახებ.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ გარკვეულწილად იმოქმედა საქალაქო ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობაზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში, მთლიანად შეწყვეტილია ახალი მოძრავი შემადგენლობის მიღება, რასაც დაემატა საწვავის მწვავე დეფიციტი. ამის გამო იძულებულნი შევიქენით სხვა საქალაქო მარშრუტებთან ერთად მოგვეხდინა ზოგიერთი მარშრუტის მოძრაობის სქემის დამოკლება, რათა მგზავრი მასივებიდან და დიდი დასახლების უბნებიდან მივიყვანოთ პირველ შემხვედრ მეტროპოლიტენის სადგურამდე, აღნიშნულ შემთხვევაში დიღმის მასივიდან მეტრო „დიდუბის“ ქვედა სადგურამდე. კვლავ დღის წესრიგშია ზოგიერთ მარშრუტზე მსგავსი ღონისძიების გატარება.

„კურორტს ქვეწარმავლები დაეპატრონენ“

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წელი, № 217.

რედაქციას უპასუხებს ჩოხატაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე გ. ცინცაძე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში — „კურორტს ქვეწარმავლები დაეპატრონენ“ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

გაცნობებთ, რომ 1992 წლის 22 ივნისიდან კურორტის ხელმძღვანელობა შეიცვალა. მაგრამ მძიმე ფინანსური პირობების გამო მდგომარეობა მაინც არ გამოსწორდა.

1992 წლის 23 ოქტომბრიდან, ჩემი სამუშაოზე მოსვლის დღიდან, ხარვეზების მოგვარების მიზნით საკითხი დავაყენე შესაბამის რესპუბლიკურ ორგანოებში, რაც გვაძლევს იმედს, რომ კურორტი ნაბეღლავი აღიდგენს პრესტიჟს.

„სარედაქციო ფოსტიდან“

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წელი, № 120.

რედაქციას უპასუხებს თბილისის სასტუმროების სამმართველო.

თქვენი გაზეთის პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც სასტუმრო გადაეცა ქალაქის სასტუმროების სამმართველოს და დაერქვა „სამგორი“, მასში აღარ უშვებენ საკოლმეურნეო ბაზარზე სავაჭროდ ჩამოსულ გლეხებს და ისინიც იძულებული ხდებიან ღამე კერძო ბინებში გაათიონ.

გაცნობებთ, რომ სასტუმროს მართალია შეეცვალა პატრონი და სახელი, მაგრამ მას არ შეცვლია დანიშნულება. ის იყო და არის სასტუმრო, რომელიც ძირითადად ემსახურება საკოლმეურნეო ბაზარზე ჩამოსულ გლეხებს. აღსანიშნავია ის, რომ წერილი დაწერილია ზაფხულის თვეში, მაშინ, როდესაც სასტუმროში ყოველდღიურად ცდებოდა ადგილების თითქმის 40-50 პროცენტი. რაც შეეხება კერძო ბინებში წასვლას, სინამდვილეა, ვინაიდან მთავრობის მიერ ფასების გაზრდის გამო, მოქალაქეები კერძო ბინებს ამჯობინებდნენ სიიაფის გამო.

საზრისი

არის კი შანსი გადარჩენის?

წერილი მეორე

აკაკი ვასაძე

თავდაპირველად ყურადღებას გავამახვილებ ჩვენი „გადარჩენის“ იმ პრაქტიკულ შანსზე, რომელსაც სინამდვილის დონეზე, ჯერჯერობით, სპორადული გამოვლენის ხასიათი აქვს. მასზე მსჯელობა ასეთი იგავური ვარიაციებით მინდა დავიწყო:

წყალწაღებულს მოულოდნელად ვინმე ხელს თუ გაუწვდის — თვითონაც უნდა მოიმართოს ამ „ბედნიერი მოულოდნელობის“ გამოსაყენებლად. დამხმარეც რომ არ გამოუჩნდეს, მაინც ბოლომდე იბრძვის იგი თავის გადასარჩენად ასე, რომ ზეადამიანური ძალაც კი ენიჭება. არსებობს ასეთი ანდაზაც: „სახლს რომ ცეცხლი წაეკიდა, მომდურავიც წამეხიდაო“.

რომელია ის ძალა, წყალწაღებულს რომ გეშავს თავის გადასარჩენად და, უკიდურეს გასაჭირში, ერთმანეთზე წაკიდებულ მეზობლებსაც ერთის ვნებით შეაკავშირებს?

ეს ძალა — სიცოცხლის გადარჩენის ინსტიქტია.

ეს ინსტიქტი მუდამ პრაქტიკულ დონეზე მოქმედებს, როგორც უმძლავრესი ფაქტორი ყველაზე დიდი, ყველაზე პირველადი სურვილის — სიცოცხლის გადარჩენის სურვილის აღსასრულებლად.

საერთო-სახალხო კატასტროფების ჟამს, ეს ინსტიქტი ცალკეულ ინდივიდს ყველაზე მძლავრად, უშუალოდ განაცდევინებს მის საზოგადოებრივ არსებობას — რომ ის არის წევრი სოფლის, ქალაქის, მთლიანად მისი ქვეყნის მოსახლეობის და რომ მისი სიკვდილ-სიცოცხლე მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული; რომ ის მარტოკა ვერ ჩააქრობს მის საცხოვრებელ სახლს მოდებულ ცეცხლს, თუ მეზობელმაც არ უშველა; და მეზობელიც უმალ გაიაზრებს, რომ, დროულად თუ არ წაეხიდა გაჭირვებაში ჩავარდნილს, ცეცხლის ალი მის ბინასაც გადასწვდება; და ასე, მომდურავი მეზობლებიც შეკავშირდებიან თითოეულისთვის ერთნაირად ავის მომასწავებელი ხანძრის შიშითა და მისი ჩაქრობის სურვილით.

რაც ითქვა, ელემენტარული კანონზომიერებაა ადამიანთა ინდივიდუალური და სოციალური ქცევისა; და როდესაც ადამიანთა ინდივიდუალური და სოციალური ქცევა არ ესაბამება ელემენტარულ კანონზომიერებებს, ამის მიზეზი ხალხის ინსტიქტების (საერთოდ, მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური მდგომარეობის) მორღვევა-მოშლილობაში კი არა, იმ გარეგან ზემოქმედ ფაქტორებში უნდა ვიგულვოთ, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებაში ჰქმნიან ხსენებული ინსტიქტის მართებულად გამოვლენის „ამკრძალველ ზღუდეებს“. ადამიანთა ცნობიერებაში ასეთი „ამკრძალველი ზღუდე“ შეიძლება შექმნას მცდარმა ინფორმაციამ. მცდარი ინფორმაცია ფიქსირდება „მცდარი შეფასების“ სახით, რომელიც ხელს უშლის ადამიანს მიიღოს „სწორი გადაწყვეტილება“ და მისთვის სასიკეთო, რეალობის შესაბამისი ქცევა განახორციელოს. ვთქვათ, მძინარე კაცს „ხანძრის სუნი“ რომ ეცემა და წამოვარდება, „რადიომ“ არ უნდა მოატყუოს — ეს შენს ცოლს ქადი მიეწვა და იმისი სუნიაო, თორემ ისევ ძილს მისცემს თავს და, მალე, ცეცხლის ალში დაიღუპება.

• • •

ჩვენ რომ ვართ, ამ ყოფაში, „სიცოცხლის გადარჩენის ინსტიქტს“ სრულიად კანონზომიერად უნდა ემძლავრა. მას უკვე კიდეც უნდა მოეხდინა ქართველობის სულიერ და ფიზიკურ ძალთა მობილიზება, ქართველობის განტვირთვა ყველანაირი სუბიექტური ურთიერთ სიმპატია-ანტიპატიებისგან და გარედან აკიდებული ყველანაირი სოციალური „ტვირთისგან“ — ქართველობა ერთიანად უნდა დაეგეშა „გადასარჩენად“.

აკი იყო ამის ნიშნები, ოღონდ, სამწუხაროდ, ამ ინსტიქტის ამოქმედებას სპორადული — დროებითი და ლოკალური ხასიათი მიენიჭა.

ლოკალური ხასიათი მიენიჭა ამ ინსტიქტის ამოქმედებას, როდესაც აფხაზეთში, სიკვდილის ცეცხლის უშუალოდ განმცდელი „ზვიადისტებიც“ და „ანტიზვიადისტებიც“ და სხვადასხვა „ისტებს“ აყოლილი დაპირისპირებული ძალები შეკავშირდნენ და ერთობლივად მოიმართნენ განსაცდელის დასაძლევად.

დროებითი ხასიათი მიენიჭა ამ ინსტიქტს, ხალხის ცნობიერებაში გარდატეხილს ედუარდ შევარდნაძის „შემძლე მშველელად“ დასახვით, 1992 წლის არჩევნების პერიოდში, — სწორედ ამ ინსტიქტმა დარაზმა და მიიყვანა საარჩევნო უბნებში ზღვა ხალხი, რომლის დიდ ნაწილს შეადგენდნენ მანამდე სასოწარკვეთილებიც და ზვიადისტებიც.

წესით, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში, ამ ინსტიქტის სრულ და მასშტაბურ რეალიზაციასთან უნდა გვქონოდა საქმე, რაც, უკვე დღეისთვის, მეტ წინამძღვარს და საფუძვლებს შექმნიდა ცხოვრების ნორმალიზაციისათვის.

იბადება არაერთი კითხვა: რატომ შემოიზღუდა ამ ინსტინქტის გამოვლენა აფხაზეთის რეგიონით და იქ დატრიალებულმა სიკვდილის ცელმა რატომ ვერ დარაზმა მთლიანად ქართველობა? არის თუ არა შესაძლებელი საკუთრივ აფხაზეთის რეგიონის ქართველობაში ამ ინსტიქტის განმუხტვა? რა აპირობებს 1992 წლის არჩევნების პერიოდში ამ ინსტიქტით დამუხტული სივრცის ლოკალიზაციას? რა განაპირობებს რაოდენობრივ ზრდას იმ ადამიანებისა, რომელთა თვალთახედვაში ედუარდ შევარდნაძის, როგორც „შემძლე მშველელის“ ხატი, ფერმკრთალდება? იბადება ამისი მსგავსი სხვა კითხვებიც, რომლებსაც ასრულებს ყველაზე საზარი: — ხომ არ არის შესაძლებელი დეპრესიამ ანუ სასოწარკვეთამ გადარჩენის ინსტიქტი ჩაახშოს ხალხში?

ცხადია, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ანალიტიკური წერილების ციკლი დასჭირდებოდა. მე აქ შევეხები ჩვენი სინამდვილის მხოლოდ ზოგიერთ მხარეს, ვითარცა მიზეზებს „სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტის“ გამოვლენის შეზღუდვა-შეფერხებისა.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელმაც განაპირობა ხსენებული ინსტიქტის ქართველობაში, ერთი მხრივ, ლოკალური და, მეორე მხრივ, დროებითი ამოქმედება, ეს არის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სისუსტე. მოსახლეობაში სწორი პოლიტიკური ორიენტაციის შექმნისთვის მოწოდებული საინფორმაციო საშუალებების იდეოლოგიურ-ინფორმაციული მუშაობა იმდენად სუსტია, რომ, ბუნებურად, იქმნება შთაბეჭდილება — ან არ გვყოლია საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოვლენების პირუთვნელად, ღირსეულად შეფასებისთვის მოწოდებულ პიროვნებათა თვით მინიმალური რაოდენობა, ან ვიღაც „მტერი“ იღწვის, რათა მართებული ეროვნული პოზიცია არ განმტკიცდეს ხალხში. ძნელია სათქმელად, მაგრამ, ასეა: ამჟამინდელი ხელისუფლების კურსის თვით ყველაზე აშკარა, იოლად განსამარტავი „გონიერება“ იმის მეასედი ძალითაც არ ეფინება ხალხს, რა ძალითაც ეფინებოდა ადრინდელი ხელისუფლების იდეოლოგთა (თუნდაც გურამ პეტრიაშვილი) „სიგიჟე“. იდეოლოგიურ-საინფორმაციო მუშაობის სფეროც ანარქიზმის ნიშნით არის აღბეჭდილი, რაც მასების დაბნეულობას ზრდის.

მეორე მიზეზი ის არის, რომ, ადრინდელი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ჩამოყალიბდა არა მარტო ექსპრეზიდენტის მხარის დამჭერი და მისი დაბრუნების მოწოდებით ხალხის ცნობიერების დამმუხტველი, არამედ ახალი ხელისუფლების და, განსაკუთრებით, ედუარდ შევარდნაძის სახელის გასატეხად მომართული მძლავრი იდეოლოგიური ფრონტი. მას მესვეურად აღუჩნდნენ სახელის მქონე პიროვნებებიც. ყოველმხრივი ანარქიის პირობებში ეს იდეოლოგიური ფრონტი, ოფიციალურ დონეზე, უფრო მასშტაბურად და მეტის შთამაგონებლობით ახორციელებს იმას, რასაც არაოფიციალურად აკეთებდა ზოგიერთი ოპოზიციური პარტია ადრინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეროვნული პოზიციიდან ხელისუფლების ან რომელიმე თანამდებობის პირის მხილება და გაქიაქებაც კი არა თუ დასაშვებია, არამედ მისასალმებელიცაა, თუკი, ქართველობის გადარჩენის სტრატეგიული კურსის გააზრებითა და გათვალისწინებით ფაქტობრივად დასტურდება მისი ღალატი ან სიმრუდე, ხოლო, როდესაც, ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გადარჩენის სტრატეგიული კურსის გაუთვალისწინებლად, ავბედითი სინამდვილის ცალმხრივი შეფასებით და ფაქტების გამრუდებით წარმოებს ხელისუფლების ან თანამდებობის პირის დისკრედიტაცია, — ეს უკვე ყოვლად გაუმართლებელია.

მე აქ „ზვიადისტებად“ მონათლული ოპოზიციის იდეოლოგიის მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე ვიტყვი.

თუმცა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, დავუშვათ, რომ ხსენებული იდეოლოგიური ფრონტის მესვეურნი ვერ ხვდებიან, რომ საქართველოდან ექსპრეზიდენტის გაქცევაც, მისი მარშრუტიც თბილისიდან გროზნომდე, მისი იქ ყოფნის და ბრძოლის სტილიც, მისი საზღვარგარეთული ვოიაჟის ხასიათიც — უწინდელი „ცენტრის“ და ახლანდელი „რეაქციული რუსეთის“ დაგეგმილია და, არსებითად, იძულებითია. კი მაგრამ, ნუთუ იმასაც ვერ ხვდებიან, რა ვაი-უშველებელი დატრიალდება საქართველოში, ექსპრეზიდენტი რომ შემთხვევით მართლაც ჩამოვიდეს. საკუთარი თავის უფალი რომ ყოფილიყო, წესით, არც საქართველოდან გაიქცეოდა და აქამდეც უკვე ჩამოვიდოდა. არის მიზეზები, რომლებმაც თავშესაფარი რუსეთის ფედერაციაში გაუჩინა და არ დაანება აქამდე ჩამოსვლა. უმთავრესი მიზეზი მისი ამგვარი ყოფისა და ქცევისა ის არის, რომ „რეაქციული რუსეთი“ მას იყენებს და ინახავს ერთგვარი „კოზირივით“, რომელსაც ჯერჯერობით შორიდან გვითამაშებს და ელის შესაფერ დროს, რომ საქართველოს შიგნით გაათამაშოს. თუ სამისოდ სიტუაცია მომწიფდა (საქართველოს შიდა სხვადასხვა ძალების და საკუთრივ „ზვიადისტების“ იდეოლოგიური ფრონტის მეოხებითაც), მაშინვე გადმოისვრიან ამ „კოზირს“, და ქართველობა ისე ამოჟუჟავს ერთმანეთს, რომ „რეაქციულ რუსეთს“ ჩვენთვის „ეთნოკონფლიქტების“ და მსგავსი ზაფანგების დაგებაზე ტვინის ჭყლეტა აღარც დასჭირდება. აი, მაშინ კი ახდება მტრის სანუკვარი ოცნება — „გრუზია ბეზ გრუზინა“.

მართალია, ეს ვერ მოხდება; ქართველი ხალხი არ არის ისე უგუნური, ზოგს რომ ჰგონია და, არც ამჟამინდელი ხელისუფლებაა უთავოდ შთენილი. და მაინც, თუ იაზრებენ ჩემს მიერ ზემოთქმულს, მაშ, რა ზრახვით უხმობენ და უკმევენ გუნდრუკს ექსპრეზიდენტს?

ამის საპირისპიროდ, ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლას რომ გმობენ და, რაც მთავარია, ყველანაირი ხერხებით ცდილობენ მის დისკრედიტაციას ხალხის თვალში, განა ეს შეესაბამება ქართველობის და საქართველოს გადარჩენის ინტერესებს? „ცენტრმა“ წარმოგზავნა შევარდნაძე საქართველოს ჩასაძირადო, — ზოგადად ასეთია ხალხის ნაწილის ცნობიერებაში შევარდნაძის გასაშავებლად წარმოებულ მტკიცებათა თეზა. თვით ზედაპირზე არსებული ფაქტები კი სხვას მეტყველებს.

რუსეთის ცენტრალურმა ტელევიზიამ ედუარდ შევარდნაძის სახოტბო-სააღერსოს საპირისპირო, ირონიული და საეჭვო შეფასებები წამოიწყო სწორედ მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძემ მოსკოვში საჯაროდ თქვა — თუკი საჭიროდ მიიჩნევს ქართველობა ჩემს დაბრუნებას სამშობლოში, ჩემს ჩართვას საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, შესაძლოა, დავბრუნდეო (ცხადია, შევარდნაძემ უკვე იცოდა სამშობლოში მისი დაბრუნების საჭიროებაც და აუცილებლობაც). რაც ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლით და მისი პიროვნული წონის გავლენით თავიდანვე განხორციელდა, ეს იყო დაპირისპირებულ შეიარაღებულ ძალებს შორის მოსალოდნელი სისხლისმღვრელი შეჯახების განმუხტვა. მე ვგონებ, ყველასთვის იოლად წარმოსადგენია: შევარდნაძე რომ არა, სისხლის ტბორებით დაიფარებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და, ვინ იცის, დღეისთვის რა დღეში ვიქნებოდით. ჰოდა, სულისამომრთმევი სისხლისღვრისაგან რომ გადავერჩინეთ, ამისთვის გამოგზავნა „ცენტრმა“ შევარდნაძე? ვგონებ, კითხვა განმარტებას არ საჭიროებს.

ესეც ფაქტია: ცნო რა გაერომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, დაიწყო რა ლეგიტიმური ხელისუფლების შექმნის წინა პროცესი, „რეაქციული რუსეთი“ მაშინვე შეუდგა საქართველოს სხვადასხვა მხარეში ლენინის მიერ გამზადებული „საეთნოკონფლიქტო ნაღმების“ აფეთქებას. შევარდნაძემ მსოფლიოს გასაგონად თქვა, რომ „რეაქციული რუსეთი პროვოკაციულად ერევა საქართველოს შიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კოლიზიებში. ამის პასუხად „რეაქციული რუსეთი“ შეუდგა შევარდნაძის დისკრედიტაციას მსოფლიო მასშტაბით და მის შერაცხვას „აფხაზური გენოციდის“ მოთავედ.

თითქმის ყველა ფაქტი მეტყველებს, რომ „რეაქციული რუსეთი“ სულაც არ იყო დაინტერესებული ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლით და, ახლაც, ყველანაირად ხელს უშლის საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

„რეაქციული რუსეთის“ მარწუხებიდან საქართველოს თანდათანობითი რეალური გათავისუფლება და, ამის პარალელურად, ქართველობის „გადარჩენა“, მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართვით არის შესაძლებელი. ედუარდ შევარდნაძე სწორედ ამას ცდილობს. „რეაქციულ რუსეთს“ კი სურს ეს ცდა გაუცუდოს, თავდახსნის ეს გზა ჩაგვიხერგოს, მაგრამ თავისით, გარედან, ველარ ძალუძს. ამიტომაც, იმედით უთვალთვალებს ჩვენს შინაგან დაპირისპირებას და მოუწყობლობას.

და ასეთ დროს, „ზვიადიზმის“ სახელით მოქმედი ოპოზიციის იდეოლოგიური ფრონტი, ერთი მხრივ, არარეალური „ეროვნული ხსნის“ იდეებითა და უსაფუძვლო განცხადებებით, ხოლო, მეორე მხრივ, ჟირინოვსკი-ბაბურინების სტილზე ხელისუფლების დისკრედიტაციით, წყალს ასხამს მტრის წისქვილს. და ამის მიზეზი, ისევ და ისევ „სუბიექტივიზმის ტყუილია“.

და მაინც, ხსენებული იდეოლოგიური ფრონტის მესვეურები, თავიანთი „ტყუილით“, ყველაზე მეტად ხალხის წინაშე სცოდავენ. ვიღაცის მიერ უფრორე ცინიკურად, ვიდრე იუმორით, „ზვიადისტებად“ მონათლულ უბრალო ხალხში ძალიან ბევრია გულმართალი, პატრიოტული გზნების, თავდადებული, სიმართლისკენ მიდრეკილი ადამიანი; ასეც ვხედავ, რომ ეს ჩვენი ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია თავისი ბუნებრივი მონაცემებით; და რაოდენ სავალალოა, რომ სწორედ მათ ცნობიერებაში ქმნიან, ყალბი ინფორმაციებითა და შეგონებებით, ისეთ მცდარ შეფასებებს, ისეთ მცდარ დამოკიდებულებებს, რომლებიც „ამკრძალველ ზღუდეებით“ ახშობენ ხალხის „სიცოცხლის გადარჩენის ინსტიქტს“.

თუმცა, ამ ცოდვაში, მეტი თუ არა, ნაკლები წვლილი არ მიუძღვის სხვადასხვა ფრთის „ანტიზვიადისტებსაც“, რადგან, როგორც ფაქტები მოწმობს, უმრავლესობის ბრძოლას პრეზიდენტის დიქტატორული ხასიათის მმართველობის წინააღმდეგ, უფრორე პირადული, ვიდრე საქვეყნო ინტერესი ანუ სწრაფვა განაპირობებდა.

• • •

როგორც ხელოვნებაში და მეცნიერებაში, პოლიტიკაშიც — მით უმეტეს, ეროვნული გადარჩენის პოლიტიკაში, უმთავრესია და გადამწყვეტია სუბიექტურ-ყოფაცხოვრებითი გადახრებისგან გამიჯვნა. თუ ეს გამიჯვნა არ მოხდა, გარდუვალია „ტყუილი“. ზერელე უფლებრივი მორჭმის, ძმაბიჭობით და ნათესავ-მოყვრობით კადრების დადგენის, მუქთად მონაგრების და, საერთოდ, ყოველმხრივი კორუფციის „ტყუილით“ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ დონეზე ცხოვრება შეიძლებოდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როდესაც ხალხიც და ქვეყანაც გაყიდული იყო. მაგრამ ეს დაუშვებელია, როდესაც ხალხის და ქვეყნის ხსნის ჟამი დგება. ასეთ ჟამს, ეს უკვე არის, როგორც ხალხისა და ქვეყნის, ასევე საკუთარი თავის წინაშე „ტყუილი“.

სამწუხაროდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებიდან დღეაქამომდე, ფუნქციონირებად პირთა უმრავლესობა საბჭოური ფსიქოლოგიით დაღდასმული აღმოჩნდა. განსხვავებულ სიტუაციაში, საბჭოური „ტყუილი“ გრძელდება და ვლინდება გაცილებით უარესი ფორმებით, ხალხისთვის და ქვეყნისთვის ადრინდელზე უფრო საზიანოდ. ეს „ტყუილი“ ბორკავს ხალხში „სიცოცხლის გადარჩენის ინსტიქტის“ სრულად და მასშტაბურად ამოქმედებას.

იქ, სადაც ხალხის ცნობიერებას ამღვრევს უნდობლობა, იმედგაცრუება და სხვა ამგვარი განცდები, რომლებსაც იწვევს ხალხის ცხოვრების მმართველ სფეროებში ცხადად მჩინარი „ტყუილი“, იქ „სიცოცხლის გადარჩენის ინსტიქტი“, უპირატესად, მრუდ ფორმებში ვლინდება. ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ, სიტყვამ მოიტანა და, ბარემ, აღვნიშნავ: ხალხის დახლეჩა-დაქსაქსვა, ჯგუფობრივად თუ ინდივიდუალურად ჩადენილი ბოროტმოქმედება, ნარკომანიის კატასტროფული ზრდა, სახელმწიფო-სახალხო ქონების არად ჩაგდება და ძარცვა, ადამიანისადმი ურწმუნობა და კაცის სიცოცხლის გაუფასურება—ყოველივე ამ უბედურებას იწვევს და აღვივებს ის „ტყუილი“, რომელიც დღემდე მხოლოდ მატულობს ყველა მმართველობით სფეროში. ვერანაირი ოპოზიცია ვერ გადაიბირებს ხალხის თვით უმცირეს ნაწილს, თუ ეს უკანასკნელი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ხედავს სიმართლეს. და რომ ვერ ხედავს „სიმართლეს“ ხალხი, ეს იმას მოწმობს, რომ მხედველობა კარგი ჰქონია.

და ხალხი ხედავს: ქვეყანაზე ზრუნვისა და ღვწის ნაცვლად, ძალაუფლების შენარჩუნებისთვის და თანამდებობებისთვის ბრძოლა გრძელდება პირადი ამბიციების შეხლა-შემოხლით და ოქრო-ვერცხლით დასატენი კასრების რახრახით და აქეთ-იქით გორებით.

ვაი, რომ ზოგი თვით გმირულ ქცევასაც თავად ილუდებს სუბიექტივისტური დაწვრილმანებებით.

და ხალხი უფრო მეტსაც ხედავს, ვიდრე „ტყუილს“: ხალხი ხედავს, რომ სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე შეუთანხმებლობაა, უნდობლობაა, დაპირისპირებაა, უგუნურებაა და, ხელმძღვანელ პირთაგან ზოგიერთი, ხან შეფარულ, ხანაც უაშკარავეს დისკრედიტაციას ახდენს ხალხის ცნობიერებაში „შემძლე მშველელის“ მიზნობრივ ხატად ქცეული პიროვნებისას.

მტერს რაღა მოეკითხება, როდესაც უმაღლესი მმართველი სფეროებიდან იქმნება ხალხის ცნობიერებაში ისეთი „ამკრძალველი ზღუდეები“, რომლებიც აფერხებს ხალხში „სიცოცხლის გადარჩენის ინსტიქტის“ სასურველი სისრულით და მასშტაბურობით გამოვლენას.

და მაინც მჯერა, ეს ინსტიქტი ახლო მომავალში იმძლავრებს, ხალხს კიდევ უფრო შეაკავშირებს, დაანახებს, რაც გადაარჩენს.

ეს ინსტიქტი აკი მძლავრობს კიდეც ეგოდენი უკუღმართობის, გასაჭირის თმენის სახითაც.

ხალხის თმენასაც საზღვარი აქვს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შუამავლის როლში

ტყვარჩელისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის განხორციელების გაეროს მისიის თავმჯდომარის ბატონ პიერ კარსტრემის (შვედეთი) სახელი უკანასკნელ ხანს ხშირად გაისმის სატელევიზიო, რადიოგადაცემებსა და პრესაში. ამ დღეებში ჩვენ მას ვესაუბრეთ.

— როგორ აფასებთ ტყვარჩელში ჰუმანიტარული აქციის პირველი ეტაპის განხორციელებას?

— დადებითად, რადგან სიტუაცია ტყვარჩელში მართლაც რომ, რთული იყო. დაახლოებით 20 კაცი გარდაიცვალა საკვების ნაკლებობისა და შიმშილის გამო. აქციის განხორციელების დროს გადავაწყდით მრავალ პრობლემას, მაგრამ აქციის ყველა მონაწილისა და დაინტერესებული მხარეების ძალისხმევის წყალობით, მოვახერხეთ მათი გადაჭრა.

— როგორი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი ამ აქციაში და ვინ აფინანსებდა მას?

— გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ აქციაში მონაწილეობდა მხოლოდ როგორც შუამავალი. აქციის მთელი ორგანიზაციული მხარე, მათ შორის დაფინანსების საკითხები, რუსეთის მხარემ იკისრა. რუსეთის წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ აქციის დაფინანსება განხორციელებულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი შენატანების ხარჯზე, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა. შესაძლოა, მომავალში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იკისროს ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მეორე ეტაპის განხორციელების ხარჯების ნაწილი.

— როგორ ფიქრობთ, როდის დაიწყება აქციის მეორე ეტაპი?

— ეს დამოკიდებულია აქციის ყველა მონაწილის კეთილ ნებაზე. იმედი მაქვს, რომ მალე. ამ მომენტისათვის დარჩა სამასი ტონა ჰუმანიტარული დახმარება — 200 ტონა ტყვარჩელისთვის და 100 ტონა — სოხუმისათვის.

— გსურთ მიიღოთ მონაწილეობა აქციის მეორე ეტაპში?

— ეს დამოკიდებულია აქციის მონაწილეებზე. თუ დაინტერესებული მხარეები მიმიწვევენ, სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.

საუბარს უძღვებოდა
გოჩა აბლოთია.

„ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“.

გადაღებულია 1989 წელს.

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო.

წერილი რედაქციას

გულისტკივილი

ჯემალ სეფიაშვილი.

მე ვარ მუსიკოსი, კომპოზიტორი. რა რანგის მუსიკოსი ვარ, ამის განსჯა მსმენელებისა და კოლეგებისათვის მიმინდვია. მრავალი წლის განმავლობაში წრფელი გულით ვემსახურები ჩემ ხალხს და ჩემ სამშობლოს — საქართველოს. მწამს, რომ ამის დასტურია ჩემი შემოქმედება და, საერთოდ, მთელი ჩემი ცხოვრება.

დღემდე ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ დადგებოდა ჟამი, როცა ამის მტკიცება მომიწევდა. ვწუხვარ, რომ ასეთი დროც დადგა...

დღეს პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში ისეთი აჟიოტაჟია ატეხილი თბილისში, ქიქოძის ქუჩაზე მდებარე ხელოვნების მუშაკთა სახლის (ამ შენობაში ახლა მოთავსებულია ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი — საქართველოს ხელოვნების აკადემია) გარშემო, რომ გადავწყვიტე საჯაროდ გამოვხატო ჩემი გულისტკივილი.

ამ სახლის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება მე სამსახურებრივად შევალებოდა, როგორც საქართველოს კულტურის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს.

ვაღიარებ: ჩემი ძალისხმევის შედეგი გახლავთ ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 7 მაისის № 288 განკარგულებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 27 ივლისის № 658 განკარგულება, ხოლო უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ კანონიერად ცნო პროფკავშირის პრეტენზიები და სადავო შენობიდან ხელოვნების აკადემიის გამოსახლება დაადგინა.

ამით აღდგა კანონიერება და საფუძველი გამოეცალა ამ შენობაში წელიწად-ნახევრის წინათ უკანონოდ შესახლებული ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელთა ყოვლად გაუგებარ ამბიციებს.

ის ფაქტი, რომ დღემდე ვერ ხერხდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, მხოლოდ ერთი მხარეა ამ ხელოვნურად გაბერილ-გაზვიადებული საქმისა.

ისიც არაფერი, რომ ქალბატონ მედეა ფანიაშვილის წინაშე უძლურია მთავრობაც, სასამართლოც, პროკურატურაც, პოლიციაც, კანონიც, სამართალიც.

ყველაზე საწყენი ის გახლავთ, რომ ამ შენობის ირგვლივ ატეხილი გაჭიანურებული დავა-კამათი თანდათან ყოვლად მახინჯ ფორმებს იძენს. ხელოვნების აკადემიის მომხრეები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ავრცელებენ ბინძურ ჭორებს, ცილისწამებას, საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირი ებრძვის ყოველგვარ პროგრესს, ხოლო პირადად მე ვარ ქართული კულტურის დაუძინებელი მტერი. მათ აღარ ახსოვთ, რომ „მდიდარი ტრადიციების მქონე“ ხელოვნების მუშაკთა სახლის პატრონი და მოამაგე ათეული წლების მანძილზე სწორედ კულტურის მუშაკთა პროფკავშირი იყო, ხოლო მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა წრეებში გაერთიანებული ათასამდე ბავშვი 1991 წლის ზაფხულის ერთ დღეში გააძევეს ამ შენობიდან, მათ მასწავლებლებსა და სახლის ზოგიერთ თანამშრომელზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

უარესიც — ჩვენი ოპონენტები ცდილობენ როგორმე პოლიტიკური სარჩული დაუდონ ამ ყოვლად ბანალურ დავას კუთვნილების თაობაზე. იმართება შეკრებები, ისმის სამიტინგო მოწოდებები, პრესით, ტელევიზიით, რადიოთი მოითხოვენ მთავრობისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შეცვლას, იმუქრებიან, „ხომ არ გადაიზრდება ეს ამბავი პოლიტიკურ უკმაყოფილებაში?“ („იბერია-სპექტრი“, № 65).

მოკლედ, ცდილობენ საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენას და საკმაოდ წარმატებითაც. კანონის, სამართლის, სასამართლოს, სახელმწიფოსადმი პატივისცემა აღიქმება, როგორც „კომუნისტური გადმონაშთი“, ანტიდემოკრატიულობა, უზნეობა, ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკა სამართლებრივ სახელმწიფოდ გამოვაცხადეთ.

რაც მთავარია, არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელი, არც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, არც ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენტური პირები არ მიიჩნევენ საკუთარ მოვალეობად სიცხადე შეიტანონ ამ საქმეში. არავინ აპირებს ოფიციალურად განუმარტოს ხელოვნების აკადემიის ხელმძღვანელებსა და მათ მხარდამჭერებს, რომ აქ პოლიტიკა და პირადი პოლიტიკური მრწამსი არაფერ შუაშია, რომ მთავრობის განკარგულების, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა უკლებლივ ყველასათვის და კანონიერების უარყოფის გზით სამართლებრივი სახელმწიფო ვერასოდეს აშენდება.

სხვათა შორის ხელოვნების აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და მსმენელთა ქუჩაში „გარეკვა-გაძევება“ არავის უფიქრია. ჩვენ მრავალგზის ოფიციალურად თუ პირად საუბრებში ვთხოვეთ აკადემიის ხელმძღვანელობას პრობლემის ცივილიზებულად გადაჭრა — შევთავაზეთ გაეფორმებინათ სახლის შენობაში განთავსების პირობების ხელშეკრულება, ვთხოვდით შეეწყვიტათ ყოვლად უსაფუძვლო დავა და ბრძოლა, ვაფრთხილებდით, რომ ყველა მათი არასწორი ნაბიჯი საბედისწერო აღმოჩნდებოდა აკადემიისათვის. პასუხად ყოველთვის ცივ უარს, შანტაჟს და დაცინვას ვიღებდით. ყოველივე ამის დამადასტურებელი დოკუმენტი ხომ არსებობს!...

ყველაფერი ეს მაფიქრებინებს, რომ გარკვეულ ძალებს სურთ ხელოვნების მუშაკთა სახლთან დაკავშირებული დავა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენონ. ამისათვის არ ერიდებიან არც ლანძღვას, არც დემაგოგიას და არც აშკარა მუქარას.

დიდია ჩემი გულისტკივილი, რადგან უკვე გაისმა ხმები, „მაგ ებრაელს არ ჩავუგდებთ ხელში ამ შენობას“ (?!)...

მივმართავ ქვეყნის მეთაურს, პარლამენტს, მთავრობას, სასამართლოს, პროკურატურას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს: ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. თუ ეს დავა თქვენი აქტიური ჩარევით სასწრაფოდ არ დამთავრდა, დიდ უსიამოვნებას შეამთხვევს მთლიანად ჩვენს საზოგადოებას. ამის დანახვა დღეს უკვე აღარ არის ძნელი.

პირადად მე აღარ მიმაჩნია მიზანშეწონილად შემდგომი მონაწილეობა ამ „თამაშში“ და იძულებული ვარ ვთხოვო საქართველოს კულტურის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის პლენუმს გამანთავისუფლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან, იქნებ ამ თანამდებობისათვის მოიძებნოს ისეთი კაცი, რომელიც კერძო კოოპერატივებსა და ფასიან სასწავლებლებს გულუხვად დაურიგებს პროფკავშირის (ხალხის!) ქონებას.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

უდმურტეთი-აჭარა: ხელსაყრელი თანამშრომლობა

სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ხასიათის კონტაქტებს ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სამისოდ აჭარის უზენაესმა საბჭომ და მთავრობამ ბევრი რამ გააკეთეს — ათასობით ტონა პროდუქცია შემოიზიდა თურქეთიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან. ახლახან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის მეთაურობით აჭარის სამთავრობო დელეგაცია იმყოფებოდა უდმურტეთის რესპუბლიკაში.

მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთხელსაყრელ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე.

ჯერჯერობით ტელევიზორები შეიძინეს

თბილისის მერიაში იმსჯელეს დეკემბერ-იანვრის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა (მთაწმინდის რაიონი) სოციალური პირობების გაუმჯობესების თაობაზე. ერთობ პასუხსაგები დავალება მიიღეს ქალაქის ვაჭრობისა და მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელებმა. მათ უახლოეს დროში უნდა შეძლონ დაზარალებულთათვის ისეთი ნივთების მოწოდება, როგორიცაა — პიანინო, ტელევიზორები, მაცივრები, ავეჯი და სხვ. გადაიდგა პირველი ნაბიჯები. დაზარალებულთათვის უკვე ნაშოვნია 80 ცალი ტელევიზორი — „ჰორიზონტი“ და „ივერია“.

დანარჩენ ნივთებსაც მალე შეიძენენ.

მილიონი — უშურველად...

სიღნაღის მეღვინეობის სამრეწველო-კომერციული ფირმა „ქიზიყის“ გენერალურმა დირექტორმა ვაჟა მამაიაშვილმა აფხაზეთიდან ლტოლვილების — ლელა გასვიანის, მარინე გეგეჭკორის, ეთერ გოგოლაძის, ზურაბ კუჭუხიძის, ზაურ ყურაშვილის, რეზო გელენიძის, გივი ხომასურიძის, ჯიმშერ გაგნიძის სამადლობელი წერილი მიიღო. ეს გაუბედურებული ადამიანები სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროში წინასაახალწლო დღეებში დახმარების სათხოვნელად ჩამოვიდნენ. ვ. მამაიაშვილმა, როცა შეიტყო მათი გასაჭირი, ლტოლვილებს გაატანა თითო გოჭი, სამყოფი ღვინო, სხვა სახის პროდუქტები და 3 000-3 000 მანეთი, თითოეულს.

ფირმა „ქიზიყის“ ქველმოქმედება ამით არ ამოიწურება: რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში ფირმამ მილიონი მანეთი ჩარიცხა, ხოლო შინაგანი ჯარების ფონდში — 500.000 მანეთი.

ჩაი ჩვენი არსობის?!

რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქჩაისუბტროპიკმა“ ყაზახეთის ორ ფირმას დაუდო კონტრაქტი, რომლის თანახმადაც ჩაისა და მთელი რიგი სხვა პროდუქტების სანაცვლოდ მოგვაწვდიან ასი ათას ტონა მარცვლეულს.

ამ ფაქტის განმარტებისას, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის გადამმუშავებელი სამმართველოს უფროსმა თეიმურაზ მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ ყაზახეთში უნდა გავგზავნოთ ცხრა ათასი ტონა ჩაი.

წელს მიღებულია შეკვეთები ქართულ ჩაიზე რუსეთიდან, და სხვა ქვეყნებიდან.

„ციც“! ახალი გაზეთია

საგაზეთო ჯიხურებში გამოჩნდა ორიგინალური სათაურის სატირულ-იუმორისტული გაზეთი „ციც“!, რომელსაც გორელი ჟურნალისტები გამოსცემენ (მთავარი რედაქტორი — ვასიკო მამულაშვილი). იგი გამოირჩევა ხალასი იუმორით, თემატური მრავალფეროვნებით და ნათელი მაგალითია იმისა, რომ გაზეთს მაღალპროფესიულად პერიფერიებშიც უშვებენ.

ნაბიჯი ევროპისაკენ

თბილისში დაფუძნდა საინვესტიციო კომპანია „ერთიანი ევროპა-საქართველო“, რომლის პრეზიდენტია არქიტექტორი გივი ტაბატაძე.

ჩვენ შევხვდით ბატონ გივის და ვთხოვეთ მოეთხრო, რას წარმოადგენდა მართლაც საინტერესო და აქტუალური სახელწოდების ეს ახალი კომპანია.

ბიზნესი

— საინვესტიციო კომპანია „ერთიანი ევროპა-საქართველო“ — თქვა გ. ტაბატაძემ — არის ღია ტიპის საზოგადოება, რომლის დამფუძნებელთა შორის არიან: „ერთიანი ევროპა“ (ინგლისი), „ერთიანი ევროპა“ (მოსკოვი); საქართველოს ეკონომიკური ინოვაციების კავშირის ფირმა „ქალდეში“; საინფორმაციო ცენტრი ფირმა „დუპლექსი“; უსინათლოთა საზოგადოების საწარმოო კულტურული ცენტრი ფირმა „ეკომედი“ და სხვა. კომპანია ჩამოყალიბდა 1992 წლის ნოემბერში, ასე რომ, ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში ვართ.

— **თქვენი კომპანიის მიზანი და ამოცანები...**

— კომპანიის მიზანია, ხელი შეუწყოს ისეთი პროგრამების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას ქვეყანაში, ძირითადად საზღვარგარეთ ცალკეული ინვესტორების ფინანსური და მატერიალური რესურსების მიზიდვის გზით. ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— პერსპექტიული პროგრამებისა და გეგმების ინვესტირება, საწარმოო სფეროსა და კონსერვირებულ პროგრამებში კაპიტალის დაბანდება;

— ტექნიკურ-ეკონომიკურად გამართლებული საინვესტიციო პროექტების მომზადება და ექსპერტიზა;

— საბითუმო და საცალო ვაჭრობა;

კომპანიის საინვესტიციო განყოფილება აწარმოებს საინვესტიციო პროექტების ექსპერტიზასა და შერჩევას, მათ დაზღვევას, ინვესტორთა და ინვესტიციების გარანტთა ძიებას, ტექნიკურ-ეკონომიკურად გამართლებული საინვესტიციო კრედიტებისა და საკრედიტო ხელშეკრულებების მომზადებაში დახმარებას, პროექტების განხორციელებაში მონაწილეობას ისეთი გზით, როგორიცაა წარმოების რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და განვითარება, აგრეთვე, წარმოებული მზა პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა.

ინვესტიციის გამოყენების სრულყოფილი კონტროლის უზრუნველყოფის, საინვესტიციო პროექტებით ექსპერტიზის განხორციელების, ინვესტორის საიმედო დაზღვევისათვის კომპანია სათანამშრომლოდ იზიდავს ინგლისელ, გერმანელ, შვეიცარიელ და სხვა საზღვარგარეთელ პარტნიორებს, მათ შორის, საბანკო და სხვა ფინანსურ სტრუქტურებს. აი, მოკლედ ჩვენი ამოცანები და მიზნები.

— **კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, თქვენი განწყობილება...**

— მოგახსენებთ, რომ კომპანია ჯერ ისევ ფორმირების პროცესშია, დღეს, როგორც ყველას, ჩვენც უამრავი პრობლემა გვაქვს, თუმცა, ამით ვერავის გავაკვირვებთ, ამიტომ, ამაზე აღარ შევჩერდები.

იმ მოკლე დროში, რაც კომპანია არსებობს, უკვე საკმაო საქმეა გაკეთებული: მომზადდა ათამდე საკმაოდ პერსპექტიული პროექტი, რომელიც ამჟამად ექსპერტიზას გადის; გასული წლის ბოლოს, მე და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბატონი დემურ დვალიშვილი ლონდონში გახლდით, სადაც ბევრი სასარგებლო შეხვედრა გვქონდა სხვადასხვა ბანკების წარმომადგენლებთან, განვიხილეთ ჩვენს მიერ შეთავაზებული რამდენიმე პროექტი.

ხვალ საპასუხო ვიზიტით ჩამოვლენ ჩვენი პარტნიორები ინგლისიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან, იმედი გვაქვს, თბილისის შეხვედრები შედეგიანი იქნება. ასე რომ, სამუშაო განწყობილება გვაქვს.

— **თქვენი უახლოესი გეგმები....**

— მე თითქმის ყველაფერზე ვილაპარაკე, მაგრამ დაისმენ, ჩვენი გეგმების წარმატებები დამოკიდებულია გარკვეულწილად ჩვენი პარტნიორების ამ ვიზიტზე, წინდაწინ კონკრეტულად ვერიდები რაიმეს თქმას. მხოლოდ ვიტყვი, რომ ჩვენი კომპანიის საქმიანობას ბევრი უცხოური ფირმა ადევნებს თვალს, აქ კი მრავალმა ფირმამ თუ კერძო პირმა დამდგო პატივი, რისთვისაც ყველას ძალიან დიდი მადლობა მინდა მოვახსენო, განსაკუთრებით ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ბატონ დემურ დვალიშვილს, „ინდუსტრიაბანკის“ მმართველს ბატონ ზაურ გინძეხაძეს და სხვებს. საერთოდ, კი, ჯობია, ჩვენს საქმიანობასა და გარჯაზე შედეგებმა ილაპარაკოს.

ევროპის სტადიონებზე

გერმანული ტურნეს პირველი მატჩი საქართველოს სამგზის ჩემპიონებმა — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ანგარიშით 8:2 მოუგეს ბუნდესლიგის კლუბს — „ზაარბრიუკენს“.

მასპინძელთა კარში გატანილი 2 გოლის ავტორია გიორგი ქინქლაძე.

• • •

1992 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში ზედიზედ მეექვსე შეხვედრა მოიგო ბელგიის ეროვნულმა ნაკრებმა. „წითელმა ეშმაკებმა“ ნიქოზიაში იოლად დაამარცხეს კვიპროსის გუნდი — 3:0.

თამაშის ბედი დებიუტშივე გადაწყდა — პირველ და მეხუთე წუთებზე სტუმართა შეტევების ლიდერმა ვინჩენცო შიფომ 2 ზუსტი დარტყმა შეასრულა.

ამჟამად მეოთხე ჯგუფის სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ბელგია — 12 ქულა (6 მატჩის შემდეგ), რუმინეთი 7 (5), უელსი 4 (4), ჩეხეთ-სლოვაკეთი 3 (3). კვიპროსელებმა ჯერჯერობით ვერც ერთი ქულის მოპოვება ვერ შეძლეს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის საგზურს ამ ჯგუფიდან 2 გუნდი გაითამაშებს.

• • •

ბრძოლდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები.

იტალია. XX ტური. „ატალანტა“-„მილანი“ — 1:1, „ინტერი“ — „ნაპოლი“ — 0:0, „ანკონა“-„ფიორენტინა“ — 2:1, „ფოჯა“-„რომა“ — 0:0, „იუვენტუსი“-„ჯენოა“ — 1:0, „ლაციო“-„კალიარი“ — 1:2, „პარმა“-„ტორინო“ — 2:2, „პესკარა“-„ბრეშია“ — 2:0, „სამპდორია“-„უდინეზე“ — 2:0.

„მილანი“ — 35 ქულა (დაუმარცხებლად!), „ინტერი“ — 26.

ცხონება

ვასილ ხოდელი

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ღვაწლმოსილი მუშაკი ვასილ ნიკოლოზის ძე ხოდელი.

დაიბადა 1920 წელს გორის რაიონში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო სარატოვის საავიაციო ქარხანაში, იქიდან გადმოიყვანეს თბილისის საავიაციო ქარხანაში, სადაც 14 წელიწადი იმუშავა. 1958 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, იყო სახელმწიფო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ბიუროს გამგე. პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგ, 1988 წლიდან ვ. ხოდელი საბანკო სისტემაში მოღვაწეობდა — 1987 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო ბანკის საქმეთა მმართველობას.

ბატონი ვასო იყო უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მუშაკი, კარგი დამრიგებელი, გულისხმიერი მეგობარი, ნამდვილი მოქალაქე და პატრიოტი. ამიტომაც უყვარდა და პატივს სცემდა მას ყველა, ვინც იცნობდა ამ შესანიშნავ ადამიანს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო ბანკის კოლექტივი.

უჩვენებს თბილისი

ეთერში საქართველო

ოთხშაბათი

17 თებერვალი

7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევს** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ბავშვებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი „ფეხშიშველი გენი“. 18.35 — ანძა — ტელემარკეტინგი. 18.45 — დებიუტი. 19.15 — განცხადებები. 19.25 — „სად მამა-პაპა მეგულვის“... 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ — ფილმი მეორე. III სერია. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ვიდეო... ვიდეო... 23.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხუთშაბათი

18 თებერვალი

7.30 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევს** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ნეტი განის მოგზაურობა“. 18.50 — განცხადებები. 18.55 — ლიტერატურული თეატრი — „ვეფხისტყაოსანი“. კითხულობს თათია ხაინდრავა. 19.20 — რამპა. 19.25 — საწინდარი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ — ფილმი მეორე. IV სერია. 21.40 — არშიებთან. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა... 23.25 — სპორტული პანორამა. 23.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.



პარასკევი

19 თებერვალი

7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევს** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი „ნადეჟდას“ უკანასკნელი რეისი“. 18.35 — ინფორმაცია თქვენი თხოვნით. 19.05 — განცხადებები. 19.15 — ნუგეში. 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ — ფილმი მეორე. V სერია. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — **პოლიტიკა**. 23.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 23.50 — სპორტული პროგრამა: 1. საერთაშორისო ტურნირი ძიუ-დოში; 2. საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. 0.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

შეიძინეთ „აის“-ის აქციები!

სააქციონერო საზოგადოება „აის“-ს მარნეულის მიმდებარე ტერიტორიაზე დაწყებული აქვს ბაზალტის ქვის დამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ბაზალტის ხელოვნური ბამბა, ხელოვნური სუპერძაფი (როვინგი), თბოსაიზოლაციო ფილები, ლეიბები, ნაკეთობები, გადასახური ფილები (შიფერი) და სხვა.

ქარხნის I რიგის მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია 1993 წლის I ნახევარში.

სააქციონერო საზოგადოება 1993 წლიდან იწყებს მეორე გამოშვების ჩვეულებრივი სახელობითი აქციების გაყიდვას ნომინალური ღირებულებით 5000 მანეთი — პაკეტი 500000 მანეთი.

შეტანილი თანხის ღირებულება შეიცვლება ინფლაციის კურსის შესაბამისად, თქვენი კაპიტალის მდგრადობის გარანტი იქნება.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას პროსპექტი 45. XVI სართული. სააქციონერო საზოგადოება „აის“-ის საორგანიზაციო ცენტრი, ოთახი 1610 ან დარეკეთ ტელეფონზე: 38-91-75 ან 37-72-88.

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია ასრულებს გადარიცხვის ოპერაციებს რუსეთიდან საქართველოში უმოკლეს ვადებში, თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით. ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია:

ქ. თბილისში: 36-09-29; 36-27-74 (11-დან 14 სთ-მდე),

ქ. მოსკოვში: (095) 378-79-78.



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ 1993-1994 სასწავლო წელს მისაღები გამოცდები ჩატარდება სპეციალობების მიხედვით შემდეგ საგნებში:

მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა (ქართული და რუსული სექტორი) — მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა (წერა), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ფიზიკა (ქართული და რუსული სექტორი), რადიოფიზიკა და ელექტრონიკა (ქართული და რუსული სექტორი), მიკროელექტრონიკა და ნახევრადგამტარული ხელსაწყოები, ფიზიკური ინფორმატიკა — ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა, ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

გეოგრაფია, ჰიდროლოგია და ჰიდროეკოლოგია, მეტეოროლოგია — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

გეოლოგია — მათემატიკა (წერა, ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

სასარგებლო ნამარხების ძიების გეოფიზიკური მეთოდები — მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

მანქანათმშენებელი წარმოების ეკონომიკა და მართვა, სამშენებლო წარმოების ეკონომიკა და მართვა, შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა სამრეწველო საწარმოებში, ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები, ეკონომიკური კიბერნეტიკა, კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა, მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეკონომიკა და მართვა, ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა, კვების მრეწველობის წარმოების ეკონომიკა და მართვა — მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა და მართვა, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მართვა — მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ქიმია — ქიმია (წერა, ზეპირი), მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ბიოლოგია, ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა — მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ფსიქოლოგია — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), უცხო ენა (გარდა რუსული ენისა) — ზეპირი, ბიოლოგია (წერა).

პოლიტიკური ეკონომიის და საბაზრო ეკონომიკის თეორია, მაკროეკონომიკა, ფინანსები და კრედიტი, სტატისტიკა, წარმოების ეკონომიკა და მართვა, შრომის ეკონომიკა და ორგანიზაცია, აღრიცხვა და კონტროლი, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, ეკონომიკა და მართვა სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმიანობა — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა, არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა — მათემატიკა (წერა, ზეპირი), ქიმია (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (წერა), უცხო ენა (გარდა რუსული ენისა) — ზეპირი, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

საერთაშორისო ურთიერთობები — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), გეოგრაფია (წერა), უცხო ენა (გარდა რუსული ენისა) — ზეპირი, საქართველოს ისტორია (ზეპირი).

საერთაშორისო სამართალი — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), სამართლისმცოდნეობა (წერა). უცხო ენა (გარდა რუსული ენისა) — ზეპირი.

სამართლისმცოდნეობა — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), სამართლისმცოდნეობა (წერა).

ისტორია, პოლიტოლოგია, არქეოლოგია — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), გეოგრაფია (წერა), უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

ხელოვნების ისტორია და თეორია — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ხელოვნების ისტორია და თეორია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა ლიტერატურა, ესპანური ენა და ლიტერატურა — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

ფილოსოფია, სოციოლოგია, თეოლოგია, ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა დამატებითი სპეციალობით ბერძნული ენა და ლიტერატურა, იბერიულ-კავკასიური ენები (ქართული და რუსული სექტორი), რუსული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა დამატებითი სპეციალობით ბერძნული ენა და ლიტერატურა, არაბული ენა და ლიტერატურა, ებრაული ენა და ლიტერატურა, სპარსული ენა და ლიტერატურა, თურქული ენა და ლიტერატურა, სომხური ენა და ლიტერატურა, არაბული ქვეყნების ისტორია, ირანის ისტორია, თურქეთის ისტორია, ასირიოლოგია, ჟურნალისტიკა (ქართული და რუსული სექტორი) — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

რუსული ენა და ლიტერატურა — ქართული ენა და ლიტერატურა — არაქართულ სკოლადამთავრებულთათვის: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა — წაკითხულის შინაარსი), საქართველოს ისტორია (ზეპირი). ქართულ სკოლადამთავრებულთათვის: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

საერთაშორისო ჟურნალისტიკა — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), უცხო ენა (გარდა რუსული ენისა) — ზეპირი, საქართველოს ისტორია (ზეპირი).

შენიშვნა: ჟურნალისტიკისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობებზე ტარდება შემოქმედებითი კონკურსი. კონკურსზე დაიშვებიან ის აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ სულ ცოტა ხუთი პუბლიკაცია, ან ტელე-რადიო გადაცემა.

მიმღები კომისია.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА